მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

- ამხ. რაკოვსკი მოსკოვში ჩამოვიდა.
- ბელგიაში შესდგა ახალი მთავრობა.
- ფრანგი სოციალისტების ნაწილი უარს ამბობს პენლევეს მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე.
- ახლო ხანში დაარსდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოება.
- იწყობა პირდაპირი მიმოსვლა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 19 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 138 (1293)

კონცესიის დადების შემდეგ

ჰარიმანის კამპანიასთან ჭიათურის შავიქვის კონცესიის შესახებ მოლაპარაკების დროს ერთი ხმაური იყო ატეხილი ევროპის, კერძოდ ინგლისის და გერმანიის ბურჟუაზიულ პრესაში. საქმე ის არის, რომ შავ ქვას უაღრესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს ფოლადის მრეწველობისათვის. ხოლო მასზე მოთხოვნილება კმაყოფილდებოდა ბოლო წლებში დაახლოებით მხოლოდ 50 პროცენტით, რაც მწვავე კრიზისს ქმნიდა ინგლისის, გერმანიის და ამერიკის მძიმე მრეწველობისათვის.

მსოფლიო ბაზარზე შავი ქვის მთავარი მიმწოდებელი არიან: ინდოეთი, ბრაზილია და საბჭოთა კავშირი. მაგრამ ინდოეთის შავი ქვა მდარე ხარისხისაა, ბრაზილიაში იგი მოიპოვება განსაზღვრული რაოდენობით და ისიც ნაკლები ღირსებისაა, ჩვენი შავი ქვა კი როგორც ღირსებით, ისე რაოდენობით და ხელსაყრელი მდებარეობით გაცილებით სჯობია დანარჩენ ქვეყნებისას.

ამიტომაც იყო, რომ ჭიათურისაკენ თვალებს აცეცებდნენ მსოფლიო კაპიტალისტები. ამიტომაც იყო, რომ ინგლისი და გერმანია ამჟღავნებდნენ ერთ ვარ მოუსვენრობას ჰარიმანის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

კონცესია დადებულ იქნა ჰარიმანის ჯგუფთან, იმიტომ რომ იგი დასთანხმდა ჩვენთვის მისაღებ პირობებზე. ეს შემდეგისათვის გაკვეთილად გამოადგებათ იმ კაპიტალისტებს, რომელნიც გადაჭარბებულ მადას იჩენენ, როცა საქმე ეხება საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ თანამშრომლობის საკითხს, იმ კაპიტალისტებს, რომელნიც ჩვენი სიმდიდრის მუქთად ხელში ჩაგდების ოცნებას ატარებენ.

დღეს კი, კონცესიის დადების შემდეგ, ინგლისის და გერმანიის კაპიტალისტურ ჯგუფებს სხვა გზა არ დარჩენიათ, თუ არ „შერიგება“ მომხდარ ფაქტთან. ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ინგლისის საბანკო წრეების ორგანოს „ფინანშელ ტაიმს“-ის მოსაზრება იმათ წინააღმდეგ, ვინც ამბობს, რომ ჰარიმანის კონცესია მონოპოლიას ანიჭებს ამერიკას შავი ქვის მიღებაზე. გაზეთს ამ მოსაზრების გამაბათილებელ საბუთად მოჰყავს ჰარიმანის კონცესიაში ზოგიერთ ინგლისელ ფინანსიურ ჯგუფების მონაწილეობა.

გერმანიის ფინანსიური და სამრეწველო წრეები ესალმებიან ხელშეკრულების დადებას ჰარიმანთან. ისინი ახლა ისე უყურებენ, როგორც „საბჭოთა კავშირში გერმანიის და ამერიკის თანამშრომლობის ახალი ხანის დასაწყისს“. გერმანიას ფინანსიური და სხვაგვარი მდგომარეობა საშვალებას არ აძლევდა ჩვენთან დაედო ასეთი მსხვილი კონცესია. დეე, მისმა კაპიტალისტურმა ჯგუფებმა თავი ინუგეშონ „ამერიკასთან თანამშრომლობის ახალი ხანის დასაწყისით“. ჩვენ მათ ნუგეშის უფლებას, თუნდაც უნიადაგოც იყოს იგი, ვერ წავართმევთ.

სინამდვილე ის არის, რომ ამერიკა ფაქტიურად გახდა ერთგვარი მონოპოლისტი მსოფლიო ბაზარზე შავი ქვის განაწილების საქმეში. და ეს გარემოება თავის თავს უნდა დააბრალონ დანარჩენ ქვეყნების კაპიტალისტებმა, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ ჩვენს საკონცესიო პოლიტიკას. დეე, მათ თავი იმტვრიონ ხსენებულ კონცესიით მათთვის შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ჩვენ ეს არ გვეხება.

ჩვენთვის კი საინტერესოა ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს შავი ქვის კონცესიას ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღორძინებისათვის.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. არ არის მოულოდნელი, თუ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მტრები, მენშევიკები ერთხელ კიდევ შეეცდებიან გასწიონ ნაცადი პროვოკაცია კონცესიასთან დაკავშირებით. რომ ეს კონცესია მეტად ხელსაყრელია საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ამის წინააღმდეგ ხმის ამოღება გამოთაყვანებულ ადამიანს თუ შეუძლია. მენშევიკები, ალბად, სხვანაირად მოუვლიან საქმეს და იტყვიან: კონცესიიდან შემოსულ მოგებას მოსკოვი მიითვისებსო მათ ხომ პირზე აკერიათ—რუსეთი ძარცვავს საქართველოსო. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამ უნიჭო შესაძლებელ ჭორის გაბათილება. საყოველთაოდაა ცნობილი უამრავი საბუთები იმის, რომ საბჭოთა კავშირი არამც თუ ართმევს რამეს ჩვენს ქვეყანას, არამედ განსაკუთრებით ეხმარება მას.

არსენალის რაიონის უპარტიო მუშების კონფერენციაზე ამხ. ს. ორჯონიკიძეს, სხვათა შორის, შეეკითხა ერთი დელეგატი: ვის მოხმარდება ის ფული, რომელიც დარჩება წმინდა მოგებად საკონცესიო ხელშეკრულებიდანო. როგორც მოსალოდნელი იყო, ამხ. ორჯონიკიძემ უპასუხა: კონცესიიდან მიღებული ფული მოხმარდება საქართველოს მეურნეობის, მისი კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების აღორძინების საქმეო. ამასთან დასძინა: საქართველო არ დარჩება ამ შემოსავლის ამარა; როგორც წინა წლებში, იგი მომავალშიც მიიღებს დახმარებას საბჭოთა კავშირის სალაროდანო.

კარგად მოიქცა ის დელეგატი, რომელმაც ასეთი შეკითხვა შემოიტანა. ამით კიდევ ზედმეტჯერ იქნა გაქარწყლებული ის პროვოკაცია „მოსკოვის მიერ საქართველოს გაძარცვის“ შესახებ, რომელიც ბრძოლის მთავარ „იარაღს“ წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების წყალწაღებულ მტრებისათვის.

კონცესიის მნიშვნელობა აქედან შემოსული მოგებით არ განისაზღვრება. ეს მნიშვნელობა ჩვენ ვრცლად გვქონდა გაშუქებული. დღეს კერძოდ კვლავ აღვნიშნავთ ერთ გარემოებას. ჩვენში უმუშევრობა საკმაოდ ფართოდაა მოდებული. მთავრობა ყოველ ზომას იღებს მის მოსასპობად. მთავარი საშუალება კი არის მრეწველობის განვითარება, ქვეყნის საწარმოო ძალების აღორძინება. ჭიათურის კონცესია დიდ შედეგებს მოგვცემს უმუშევრობის შემცირების სფეროში. როგორც ამხ. მგალობლიშვილის დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებულ საუბრიდან გაიგებს მკითხველი, იმ სამუშაოებისათვის (გზის გაყვანა, ფაბრიკების აგება და სხ.) რომელნიც უნდა შეასრულოს კონცესიონერმა ხელშეკრულების თანახმად, საჭირო იქნება არა ნაკლებ 3.000 მუშისა. ეს მუშახელი მან უნდა აიყვანოს ადგილობრივ შრომის ბაზრიდან.

საერთოდ, ეჭვი არ არის, რომ ჭიათურის კონცესია გახდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინების მძლავრ ფაქტორად.

ისევ ჩინეთის ამბების გარშემო

რაც დღე მოდის, ტელეგრაფს უფრო მეტი და მეტი საყურადღებო ცნობები მოაქვს შორეულ აღმოსავლეთიდან. ჩინეთის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრები: შანხაი, პეკინი, ხანკოუ და ნანკინი იმპერიალისტურ მტაცებლობის საწინააღმდეგო ცეცხლითაა ანთებული.

ამ თვის ოცდახუთი რიცხვისათვის კი მოელიან მთელი ჩინეთის საერთო გაფიცვას.

ას წელს ბევრი აღარ დაჰკლებია, რაც ჩინეთში პირველად ფეხი შესდგა საერთაშორისო კაპიტალიზმმა. ამის შემდეგ ჩინეთი, სადაც დღითი დღე სულ უფრო იხლართებოდა უცხო ბურჟუაზიის ინტერესთა წინააღმდეგობის კვანძი, ამ ინტერესთა ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა და უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში ის დაუსრულებელ სამოქალაქო ომის ქვეყანას წარმოადგენს.

მაგრამ, როგორი დიდი წარსულიც არ უნდა ჰქონდეს ჩინეთს შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში, უკანასკნელი ამბები მაინც განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს, როგორც საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, აგრეთვე თვით ჩინეთის მშრომელი ხალხის განთავისუფლების ისტორიაშიც.

თავდაპირველად ჩინეთის ამბებს ის საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რომ მან ცხადჰყო რამდენად უნიადაგო და უსაფუძვლო იყო მსოფლიო ბურჟუაზიის უკანასკნელ ხანების ტკბილი ილიუზიები კაპიტალიზმის ეგრედ წოდებულ სტაბილიზაციის შესახებ.

თვით ჩინეთში კი არ ყოფილა ჯერ ასეთი ერთსულოვანი რევოლიუციონური მოძრაობა, როგორის მოწამეც დღეს ჩვენა ვართ. დაწყებული მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან და გათავებული თვით მთავრობის დელეგაციით, მთელი ჩინეთი თითქმის ერთი ენით ლაპარაკობს უცხოეთის მოძალადეებთან.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. განდგომილი რეაქციონური გენერლებიც კი, დაიმორჩილა ხალხის განწყობილებამ და ისინი გამოეხმაურნენ უკანასკნელ ამბებს და დახმარებას აღუთქვამენ ცენტრალურ მთავრობას გარეშე მტერთან ბრძოლაში. ცნობილ გენერალ ჩან-ძო-ლინმა ამ რამდენიმე დღის წინა ცნობით ორი ბრიგადა გაგზავნა თავის ჯარებიდან ამბოხებულ შანხაისაკენ.

მანჯურიის მთელ წყება გენერლებმა ტელეგრაფით აცნობეს ჩინეთის პრეზიდენტს, რომ ის არ წავიდეს დათმობის გზაზე და გადაჭრით იმოქმედოს უცხოელ უზურპატორების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად უკანასკნელ ამბებს ჩინეთში თან დაერთო გომინდანის პარტიის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც დამთავრდა მისი ჯარების მიერ კანტონის აღებით და ინგლისურ ოქროთი მოსყიდულ, ავანტიურისტ გენერლების ტან-ძი-იაოს და იან-სი-მინის დამარცხებით.

ამნაირად, ჩვენ დღეს ჩინეთში რევოლიუციონურ ნაციონალურ მოძრაობის უდიდეს ფაქტის წინაშე ვდგევართ, რომელსაც თავის ზვირთებზე აუტაცნია ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი ელემენტი: პროლეტარიატი, წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია და ფეოდალური არისტოკრატიაც კი რეაქციონურ გენერლების სახით.

ეს გარემოება, მთელი ხალხის ეკონომიურ და ეროვნულ ჩაგვრის საპროტესტო დროშის ქვეშ დარაზმვა, აშკარათ მოწმობს, რომ ჩინეთში უკვე მომწიფდა სათანადო პირობები პოლიტიკურ ემანსიპაციის გზაზე გამოსასვლელად.

ჩინეთის მრეწველობას სულ რაღაც ოცი, ოცდა ათი წლის ისტორია აქვს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში და განსაკუთრებით უკანასკნელ ათეულ წლის ვადაში, როცა იმპერიალისტურ ომის ცეცხლში გახვეულ მსოფლიო ბურჟუაზიას აღარ ჰქონდა თავი კოლონიების მისახედავათ, ჩინეთის მძიმე და საშუალო ინდუსტრიამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ.

დღეს მდგომარეობა ისეთია, რომ ჩინეთის გემების ქარხნებს თვით ამერიკის შტატებიც კი უკვეთს გემების აშენებას. ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად განვითარდა ბანკის სისტემით წარმოებული ფულის ტრიალი.

და ყველაზე უფრო აღსანიშნავი აქედან ისაა, რომ ჩინეთის მძიმე და საშუალო ინდუსტრიაშიც და აგრეთვე ბანკების კონსოლიუმში დიდი ადგილი უჭირავს ადგილობრივ, ეროვნულ ბურჟუაზიას.

ნაადრევი იქნებოდა ეხლავე იმაზე ლაპარაკი, თუ რით გათავდება ჩინეთის ეს უკანასკნელი მღელვარება. მხოლოდ ერთი კი უდავოა—ჩინეთის რევოლიუცია, როგორც ყოველ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნის განთავისუფლება, უნდა წავიდეს პირველყოვლისა უცხო მონობის უღლიდან თავის დაძვრენის გზით.

ამისათვის ეკონომიური და პოლიტიკური პირობები უკვე საკმაოთ მომწიფებულია. ამის მიზეზია თვით კაპიტალიზმი, რომელსაც სადაც მიდის, თანვე მიაქვს საკუთარივე წინააღმდეგობა და რომელიც საკუთარი ფეხებით ჩხრეკს თავისივე ყელში გამოსასმელ დანას.

ბ—ა.

ჩინეთის მშრომელთა დასახმარებლად

კომინტერნის აღმასკომის და პროფინტერნის აღმ. ბიუროს მიმართვა მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი

ინგლისის კომპარტიამ მოაწყო კომიტეტი „ხელები შორს ჩინეთისაგან“

მთელს საბჭოთა კავშირში გროვდება შემოწირულებები ჩინეთის მშრომელთა დასახმარებლად

ჩინელ მწარმოებლებმა შანხაიში დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნილებები

კომინტერნის აღმასკომის და პროფინტერნის ბიუროს მიმართვა მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალებისადმი

მოსკოვი, 17 ივნისი. კომინტერნის აღმასკომმა და პროფინტერნის ბიურომ მიმართეს მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალებს შეთანხმებული დეპეშით, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩინეთის ამბები სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობენ. ჩინეთის მუშათა ორგანიზაციები მთელ რიგ დეპეშებში ითხოვენ დახმარებას, მიმართავენ მსოფლიოს ყველა მუშათა ორგანიზაციებს.

მიუხედავათ ჩვენსა და თქვენს შორის არსებულ უთანხმოებისა, ჩვენ ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია ასეთ მომენტში მოგმართოთ თქვენ წინადადებით **მოვაწყოთ შეთანხმებულად ჩინეთის მუშებისათვის მორალური და ნივთიერი დახმარების საქმე. შეგნებულ მუშებს შორის შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს იმ შურისძიების შესახებ, რომელსაც ამჟამად მიმართავენ იმპერიალისტურ ქვეყნების ჯარები ჩინეთის მუშების, სტუდენტების და მთელი ჩინეთის ხალხის მიმართ.** ჩინეთში იმპერიალისტების გამოსვლის მტაცებლური ხასიათი არავითარ ეჭვს არ ჰბადებს. მათი ასეთი პოლიტიკით კვლავ ძლიერდება მსოფლიო კონფლიქტების საფრთხე.

ევროპის და ამერიკის მუშების ელემენტარულ მოვალეობას წარმოადგენს, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით აღმოუჩინონ დახმარება ჩინეთის ხალხს.

ჩვენ წინადადებას გაძლევთ მოვაწყოთ შეთანხმებულად მიტინგები და შემოწირულებების შეგროვება გაფიცულ ჩინელ მუშების, მოკლულთა ოჯახების და დაჭრილ ჩინელების სასარგებლოდ. საჭირო იქნება ხანგრძლივი დახმარება. **ჩვენ აგრეთვე მოვითხოვთ მოწვეულ იქნეს საერთაშორისო თათბირი, რომელიც დაწვრილებით განიხილავს საკითხს ჩინეთის ხალხისათვის დახმარების აღმოჩენის სხვა ფორმების შესახებ.**

რადგან საქმე დაყოვნებას არ ითმენს, გთხოვთ დაუყოვნებლივ დეპეშით გვაცნობოთ პასუხი“.

ინგლისის კომპარტიის ღონისძიებები

ლონდონი, 17 ივნისი. ინგლისის კომპარტიამ გაუგზავნა მუშათა პარტიის აღმასკომს წერილი, რომელშიაც ის მოითხოვს ყველა მუშათა ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევას, რომელზედაც განხილული იქნება ჩინეთის საქმეებში ინგლისის ჩარევის საწინააღმდეგო ზომები.

შემდეგ კომპარტიამ მიმართა ტრედიუნიონებს შეკითხვით, სურთ თუ არა მათ გამოგზავნონ წარმომადგენლები კომიტეტში „ხელები შორს ჩინეთისაგან“.

სენატორი ბორა ჩინეთის ამბების შესახებ

ვაშინგტონი, 17 ივნისი. სენატორმა ბორამ ჩინეთში მცხოვრებ მოქალაქეთა შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს ის ჩინეთის ამბებს, უპასუხა: „**მე ვემხრობი ექსტერიტორიალობის უფლების გაუქმებას. მე ვემხრობი იმათ პოლიტიკას, ვინც პატივს სცემს ჩინეთის ტერიტორიის მთლიანობას და ამ დიდი ხალხის ეროვნულ უფლებებს**“.

ინგლისური ფირმების ზარალი.

პეკინი, 16 ივნისი. გაფიცვა შანხაიში ყოველდღიურად ორ მილიონ მანეთ ზარალს აძლევს ინგლისურ ფირმებს. ჩინეთის ფირმებმა შანხაიში დააკმაყოფილეს მუშათა მოთხოვნილებები. ჩინელმა მწარმოებლებმა აღუთქვეს მუშებს, რომ გაფიცულები არ იქნებიან დათხოვნილი და რომ მომავალში კონფლიქტების დროს ისინი არ მიმართავენ უცხოეთის პოლიციას.

არ ესროლოთ ჩინელებს!

ნიუ-იორკი. 17 ივნისი. „ინდოეთის თავისუფლების მეგობართა“ საზოგადოების თავმჯდომარე ინდოელმა რევოლიუციონერმა ხაილენდრა გხოსმა, რომელიც ემიგრანტის სახით სცხოვრობს ამერიკაში, გაუგზავნა შანხაის გაზეთ „ჩაინა პრესს“ დეპეშა, სადაც მოუწოდებს სიკხ ჯარისკაცებს, რომელნიც ჩინეთში იმყოფებიან, გაიხსენონ ინგლისელების მიერ ამრიტ-სარში მოწყობილი სისხლის ღვრა და არ ესროლონ ჩინელებს.

ხანკოუში მომხდარ დახვრეტათა შემდეგ.

პეკინი, 17 ივნისი. ინგლისელების მიერ ხანკოუში ხალხის დახვრეტამ დიდი აღშფოთება გამოიწვია შანხაიში.

შანხაის პროფკავშირთა საბჭომ გააგზავნა თანაგრძნობის დეპეშა ხანკოუში. დეპეშაში ნათქვამია: „ამჟამად ჩინეთის ხალხი დარწმუნებულია იმაში, რომ შევიწროებათა წარმოადგენს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებანი... დახვრეტანი შანხაიში, ცზინდაოში და ხანკოუში არ შეიძლება გამორკვეულ იქნეს იურიდიული და დიპლომატიური გზით. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვე საკუთარ ძალებს.

რ. ა. ლ. კომკავშირი ეხმარება ჩინეთის ახალგაზრდობას

მოსკოვი, 17 ივნისი. ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის საკავშირო კონფერენცია თავის მოწოდებაში ჩინეთის კომკავშირისადმი აღნიშნავს:

„გომინდანის, მშრომელ და პროლეტარულ ახალგაზრდობის, სტუდენტობის და რევოლიუციონურ სახალხო არმიების ჯარისკაცების საშუალებით ჩინეთის კომკავშირმა უნდა გააფართოვოს მოძრაობის წინსვლა და უნდა აიყვანოს სახალხო ბრძოლა სულ უფრო და უფრო მეტ სიმაღლეზე და დაამთავროს ის უცხოელ იმპერიალისტების და ჩინელი მილიტარისტების დამარცხებით.

თავის მხრივ რუსეთის ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი არ დაიშურებს არაფერს, რათა უზრუნველყოს რეალური დახმარება ჩინეთის მებრძოლ ახალგაზრდობისათვის არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა მუშებია და გლეხების მხრივ“.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი ჩინელ მებრძოლებს ეხმარებიან

მოსკოვი, 17 ივნისი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ ჩინეთის ამბებს. გრძელდება მიტინგები, საპროტესტო დემონსტრაციები და ფულების შეგროვება ჩინელ მუშების სასარგებლოდ.

კოსტრომა, 17 ივნისი. ფედოროვსკის თემის (ნერეხტის მაზრა) უპარტიო გლეხთა კონფერენცია ესალმება ჩინეთის გლეხებს მათ ბრძოლაში და მოუწოდებს ბოლომდე მიიყვანონ ეს ბრძოლა..

შემოწირულებათა შეგროვება.

ვლადივოსტოკი. 17 ივნისი. მრავალ წარმოებებში დაიწყო შანხაის მუშების დახმარების კამპანია. აგროვებენ ანარიცხებს ჯამაგირიდან. ზოგიერთ წარმოებებში მუშები განსაზღვრულ დროს მუშაობენ შანხაის მუშების სასარგებლოდ.

სტალინგრადი. 17 ივნისი. სახერხი ქარხნის მუშებმა დაადგინეს ერთი დღე იმუშაონ შანხაის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ.

ჩერკასი. 17 ივნისი. ქალაქის საბჭოს პლენუმი ესალმება ჩინეთის ხალხთა მასებს. პლენუმმა დაადგინა აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება ჩინეთის მშრომელებს.

ომი მაროკოში

საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენცია.

პარიზი, 17 ივნისი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, იქ ჩავიდნენ ფრანგი დელეგატები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთ-ესპანეთის კონფერენციაში მაროკოს საკითხის შესახებ.

საიდუმლოთ ინახავენ.

პარიზი, 17 ივნისი, საფრანგეთის პარლამენტის კომისიებმა—ფინანსიურმა და სამხედრომ, მოისმინეს პენლევეს მოხსენება მაროკოში მდგომარეობის შესახებ. კომუნისტებმა უარი განაცხადეს თათბირის საიდუმლოების დაცვაზე და ისინი არ დაუშვეს თათბირზე. კომუნისტები შეეცადნენ ძალით შესვლას კომისიის სხდომაზე, მაგრამ პოლიციამ არ დაუშვა ისინი.

„სამშობლოს ღალატი“

პარიზი, 17 ივნისი. ფრანგ კომუნისტ ქალის სუსანა ჟიროს წინააღმდეგ აღძრულია ბრალდება „პარაჟენცობაში“. (სუსანა ჟირო ილაშქრებდა მაროკოს ომის წინააღმდეგ). საბუთად სასამართლომ გამოიყენა ის გარემოება, რომ სუსანა ჟირომ მონაწილეობა მიიღო მაროკოს ომის წინააღმდეგ ქ. ტურში გამართულ მიტინგზე.

კომუნისტ სტუდენტების მიტინგი

პარიზი, 17 ივნისი. კომუნისტმა სტუდენტებმა პარიზში მოაწყვეს საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ. პოლიციამ აკრძალა ჩინელ ორატორების გამოსვლა. კრებაზე მაინც იქნა წაკითხული ჩინელ კომუნისტების წერილი.

რა ხდება ბულგარეთში

ცანკოვის ტერორის საშინელებანი

მოსკოვი, 18 ივნისი, „როსტა“, „რემედასს“-ის მაილის მიხედვით გადმოგვცემს შემდეგს:

წამებას, რომელსაც განიცდიან ცანკოვის ტერორის მსხვერპლნი, ბევრი თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

ამას წინად ზაგორსკის ციხეში თავი მოიკლა საოლქო კომიტეტის ყოფილმა წევრმა ანოტას განსევმა, რომელმაც რამოდენიმე ადგილს მძიმედ თავი დაიჭრა, რამ მას გაიყვანდენ საწამებლად.

იმავე ციხეში ყელი გამოიჭრა სამართებლით ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურემ ილიევმა.

ქალაქ ბურგასში ადგილობრივი „ოხრანკის“ შენობის მეოთხე სართულიდან გადმოვარდა დაპატიმრებული კომუნისტი დიმიტრი პავლოვი. მას სასტიკად აწამებდნენ რამოდენიმე თვის განმავლობაში.

ასეთივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი ფილიპოპოლის ციხეში, სადაც მესამე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა ნაფიცი მსაჯული ფერდინანდ მიხაილოვი, რომელსაც აბრალებდენ არალეგალურ მუშაობას.

სოფელ გავრილოვის მახლობლად პოლიციამ ალყა შემოარტყა სტეფანე ივანოვის აჯანყებულთა რაზმს. ასტყდა საშინელი სროლა, რომლის დროს მოჰკლეს რაზმის მეთაური ივანოვი და 4 აჯანყებული. რაზმში შედიოდნენ გლეხები და მუშები, რომლებიც დიდ ხანს იმალებოდნენ ტყეებში.

სეიმენის მიდამოებში მოხდა მასიური დაპატიმრება. დაპატიმრებულია 300-დე მუშა და გლეხი, რომლებსაც აბრალებენ დახმარების გაწევას აჯანყებულთა რაზმისათვის.

ქალაქ ხასკოვოში დააპატიმრეს 85 კომუნისტი და გლეხთა პარტიის რამოდენიმე წევრი; დაპატიმრებულებს შორის არიან ვექილი კონონ ბურევი და მისი თანაშემწე ჩემშიროვი. უკანასკნელი გადმოვარდა მეოთხე სართულიდან და დაიმტვრა სასიკვდილოდ.

ბულგარეთის პოლიციის განკარგულებით, სოფიის ყველა მცხოვრებლებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური ნებართვა დედა-ქალაქში ცხოვრებისათვის, ვისაც ნებართვა არ ექნება, დააპატიმრებენ.

ყალბი მოწოდება

მოსკოვი, 18 ივნისი. 17 ივნისს კოლაროვმა და დიმიტროვმა გაგზავნეს სოფიაში საოლქო სასამართლოს სახელზე შემდეგი დეპეშა: „ბულგარეთის კომპარტიის ცეკას საქმეში შეტანილია რაღაც მოწოდება 1923 წ. 22 სექტემბრის თარიღით, ხელმოწერილი ვასილ კოლაროვის მიერ. ვაცხადებთ, რომ ეს მოწოდება ყალბია. ამგვარი მოწოდება ჩვენი ხელისმოწერით ჩვენ არ გამოგვიცია“.

უმუშევრობა ინგლისში

მართლაც და „რატომ უნდა იჯდენ მუნჯ ძაღლებივით?“

ლონდონი. 17 ივნისი. პარლამენტში იორკშირის მაღაროს მუშებს შორის უმუშევრობის საკითხის განხილვის დროს, მაკსტონი, ბიუკენენი და მუშათა პარტიის სხვა დეპუტატები აღნიშნავდნენ; რომ **უმუშევრობა ინგლისში სწრაფად იზრდება, მთავრობა კი არავითარ ღონისძიებებს არ იღებსო.**

ლანსბერიმ განაცხადა, რომ უმუშევრობამ ფართე ხასიათი მიიღო არა მარტო მაღაროს მუშებს შორის, არამედ ლონდონის სამრეწველო ოლქის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებშიო. პალატის თავმჯდომარემ ლანსბერის წესრიგისაკენ მოუწოდა. მაშინ ლანსბერიმ წამოიძახა: „რატომ უნდა ვიჯდეთ აქ მუნჯ ძაღლებივით და არაფერი ვაკეთოთ“?

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

იაპონია

პირდაპირი მიმოსვლა საბჭოთა კავშირსა და იაპონიის შორის

ვლადივოსტოკი, 18 ივნისი. ჩამოვიდა იაპონიის გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი ოიტო თავის თანამშრომელთა თანხლებით.

ჩამოსვლის მიზანს შეადგენს საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის პირდაპირი მიმოსვლის მოწყობა.

პოლონეთი

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების პროექტი

მოსკოვი, 17 ივნისი. პოლონეთის მრეწველთა წარმომადგენლები, რომლებიც იმყოფებიან მოსკოვში, ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებენ პოლონეთ საბჭოთა კავშირის შერეულ სავაჭრო საზოგადოების დაარსების შესახებ.

ხოჯსონი ამიერ-კავკასიაში მოგზაურობის შესახებ

მოსკოვი, 18 ივნისი. მოსკოვში დაბრუნდა ინგლისის რწმუნებული ხოჯსონი, რომელმაც „როსტას“ თანამშრომელს საუბრის დროს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები კავკასიაში მოგზაურობიდან.

„სომხეთში მე გაოცებული ვიყავი გაცხოველებული მუშაობით, რომელიც სწარმოებს წარსულ წლებში ყველაზე უფრო დაზარალებულ ქვეყნების აღსადგენად.

საქართველოში დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს მუშაობას, რომელიც სწარმოებს ნაციონალიზაციაქმნილ ფაბრიკების და ქარხნების აღსადგენად. შავი ქვის კონცესიას ჭიათურაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შავი ქვით სარგებლობს ყველა ქვეყნების მრეწველობა. ეროვნულ კულტურის განვითარების და განათლების საქმეა განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საქართველოს და სხვა ადგილობრივ მთავრობის მხრივ“.

მემარცხენე ბლოკი იშლება

ოპოზიცია სოციალისტურ პარტიაში.

პარიზი. 17 ივნისი. სოციალისტური პარტიის დეპუტატების სხდომა, რომელსაც დაესწრო სამოცამდე კაცი იხილავდა შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას. სხდომა გაგრძელდება 18 ივნისს.

როგორც სჩანს, სოციალისტურ პარტიაში ძლიერდება მიმდინარეობა, რომელიც ემხრობა ხელის აღებას პენლევეს მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე, თუ უკანასკნელი არ შესცვლის თავის პოლიტიკას, განსაკუთრებით ფინანსიურ საკითხში

უკმაყოფილება იზრდება

პარიზი, 17 ივნისი. მერყევ პოზიციას, რომელიც დაიკავეს სოციალისტებმა კომუნისტების შეკითხვის გადადებისათვის კენჭის ყრის დროს, საშიშ სიმპტომათ თვლიან მემარცხენე ბლოკისათვის. კომუნისტებთან ერთად ხმა მისცა ორმა სოციალისტმა. მთავრობას სოციალისტებიდან დაუჭირა მხარი მხოლოდ ოცმა კაცმა, მათ შორის ლეონ ბლიუმმა, პოლ ბონკურმა, ვარენმა, რენოდელმა, სპინასმა და ორიოლმა.

მემარჯვენე გაზეთი „ფიგარო“ აქედან იმ დასკვნას აკეთებს, რომ მასები უკვე არ მიჰყვებიან სოციალისტურ ბელადებს. ეს მით უფრო სწორია, რომ მრავალი სოციალისტური ორგანიზაციები პროვინციაში და ქალაქის საბჭოები, რომლებიც სოციალისტების ხელშია, ამ ბელადების პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

მემარცხენე ბლოკის კრიზისს აღნიშნავენ აგრეთვე რადიკალური გაზეთები „ერ ნუველ“ და „კოტიდიენ“. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავრობასა და სოციალისტებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება კაიოს ფინანსიური პროექტის და რიფებთან მაროკოში ზავის დადების საკითხის გარშემო.

ახალი მთავრობა ბელგიაში

პარიზი, 17 ივნისი. კათოლიკური პარტიის წევრმა პულლემ შეადგინა მთავრობა. ვანდერველდემ მიიღო გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტი. შინაგან საქმეთა მინისტრია—როლლენ ჟაკმენ, სოფლის მეურნეობის—ვან-დე-ვივერი. მთავრობაში შედის 5 კათოლიკე, 5 სოციალისტი და 2 ლიბერალი.

უკანასკნელი ცნობები

ვარდისფერ სათვალეებით

ლონდონი, 17 ივნისი. თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვების საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ მთავრობის წევრმა სამუელმა განაცხადა: შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ შანხაიდან ამ მოკლე დროში შესაძლებელი იქნება თუ მთლიად არა, სხვადასხვა ეროვნების იმ 11 ათასი ჯარის ნაწილის გამოყვანა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში გადასხმულ იქნა შანხაიში.

სამუელის თქმით სახელმწიფოები სცდილობენ გვერდი აუარონ ყველა ნაბიჯს, რომელსაც შეიძლება პროვოკაციული ხასიათი მიეცეს.

ბოლშევიზმის შიში

ლონდონი, 17 ივნისი. პეკინიდან მოსული ცნობების მიხედვით „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებს ეშინიათ ბოლშევიკური რევოლიუციისა ჩინეთში და იმედი აქვთ, რომ ჩჟან-ძო-ლინი შესძლებს მისთვის ხელის შეშლას. მოწინავე წერილში გაზეთი მოითხოვს იაპონიასთან შეთანხმებას მოქმედების გაერთიანების მიზნით და ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის როლს ჩინეთში.

იოშიზავას განცხადება

პეკინი, 17 ივნისი. იაპონიის ჟურნალისტებთან საუბრის დროს გენერალ ფინ-იუ-სიანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გარშემო გავრცელებულ ხმების შესახებ იაპონიის წარმომადგენელმა პეკინში—იოშიზავამ განაცხადა, რომ იგი სკეპტიკურად უყურებს ამგვარ ცნობებს.

დასსის გარდაცვალების გამო

ლონდონი, 17 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, კალკუტიდან: გაზეთები ერთსულოვნად გამოსთქვამენ მწუხარებას დასსის უეცრად გარდაცვალების გამო. გაზეთები აღნიშნავენ მის საზოგადო მოღვაწეობას და მის მხურვალე სიყვარულს ინდოეთისადმი. გაზ. „სტეიტსმენი“ სწერს, რომ დასსი იყო ბენგალიის ტრიბუნი.

დასსის სიკვდილის მიზეზია გულის დამბლა. მისი ნეშტი გადატანილი იქნება კალკუტაში, სადაც მას დასწვავენ.

შეურყეველი განცხადება

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. მექსიკიდან იუწყებიან: კაიესმა განაცხადა რომ მექსიკის მთავრობა არ ფიქრობს თავის აგრარული პოლიტიკის შეცვლას, როგორც ეს სურს შეერთებულ შტატებს.

კელოგი შეჩერდა

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. კაიესის მოულოდნელმა წინააღმდეგობამ და ამერიკის გაზეთების მკაცრმა კრიტიკამ, როგორც სჩანს, დაარწმუნეს სახელმწიფო დეპარტამენტი დროებით თავი შეიკავოს მექსიკასთან აშკარა უთანხმოებისაგან.

ზოგიერთი გაზეთის ცნობით მთავრობას უნდოდა მექსიკაზე ზეგავლენა მოეხდინა ფინანსიური ბლოკადის გამოცხადებით.

რა ხდება უცხოეთში.

საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია

ჩეხო-სლოვაკიის სოც.-დემოკრატიულ ინტელიგენციის ყოველკვირეულ ორგანოში „ახალი თავისუფლება“ მოთავსებულია ე. ლუსტიგის წერილი, რომელშიც სხვათაშორის ნათქვამია:

„შინა პოლიტიკურმა მდგომარეობამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში თითქოს დაჩრდილა და მეორე რიგში ჩააყენა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი. სინამდვილეში კი ასე არ არის. სამეურნეო წრეებში ამ საკითხზე გაცხოველებული მსჯელობა აქვთ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იმ პარტიების უმრავლესობა, რომლებიც სწყვეტენ ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს, დადებითად უყურებენ საბჭოთა კავშირის ცნობას. მხოლოდ ერთი პარტია—ნაციონალ-დემოკრატიული პარტია—თავისი ბელადის დოქტორ კრამარჟის ზეგავლენით უარყოფითად უყურებს ცნობის საკითხს. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ამ ტაქტიკას მხარს უჭერენ მხოლოდ პარტიის ზედაფენები, რადგან ჩეხო-სლოვაკიის ვაჭარ-მრეწველთა უმრავლესობა, რომელიც ამ პარტიაში შედის, სხვანაირად ფიქრობს: ის დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის ცნობით. არა მარტო ცალკე მრეწველები, არამედ მთელი წარმოებები სცდილობენ ურთიერთობა დაამყარონ საბჭოთა-კავშირთან და ჰპირდებიან უკანასკნელს კრედიტს, მიუხედავათ იმისა, რომ კრამარჟი თავის გაზეთში აფრთხილებს მათ ამ ნაბიჯისაგან. ეს ფაქტი მრავალმეტყველია. ის ამტკიცებს შ. კრამარჟის, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის და ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა ტაქტიკის სრულ უნიადაგობას“.

საბჭოთა კავშირი სკანდინავიის გამოფენაზე

14 ივნისს შვეციაში გაიხსნა სკანდინავიის და ბალტიის მხარის სახელმწიფოთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გამოფენა.

ამ გამოფენაზე საბჭოთა კავშირიც იღებს მონაწილეობას და მისი პავილიონი გამოფენის მნახველთა ყურადღების ცენტრად გადაიქცა.

გამოფენაზე საბჭოთა კავშირს უჭირავს მოედანი სივრცით 650 კვ. მეტრი.

პავილიონის 8 დიდ ოთახში მოთავსებულია შემდეგი განყოფილებები: 1) ბეწვეულის, 2) მხატვრული შინამრეწველობის, 3) სასურსათო პროდუქტების, 4) ნედლეულის, 5) სამთო განყოფილება და მინერალური საწვავი მასალა, 6) დამზადებული ფაბრიკატები და სხვა. დირეფანში მოწყობილია სპეციალური კუთხე, სადაც არიგებენ კატალოგებსა და ბროშიურებს და აგრეთვე ჰყიდიან შინამრეწველობის საგნებს.

შვედურ ენაზე დამზადებული დიაგრამები და პლაკატები ნათელ წარმოდგენას იძლევიან საბჭოთა კავშირის მეურნეობის და კერძოთ მისი საგარეო ვაჭრობის შესახებ.

მთავარი ექსპონენტები არიან: საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელი შვეციაში, სახელმწიფო ვაჭრობის სამართველო, „რეზინოტრესტი“ და სხვა.

ადგილობრივი პრესა დიდი ინტერესებით შეხვდა პავილიონის გახსნას და მთელი ფურცლები დაუთმო გამოფენაზე წარმოდგენილ ნიმუშებს.

სტინესის კონცერნის გაკოტრება

სტინესის კონცერნის მოსალოდნელმა გაკოტრებამ ბერლინის პოლიტიკურ და ჟურნალისტთა წრეებში უფრო მეტი მითქმა-მოთქმა და მღელვარება გამოიწვია, ვიდრე მოკავშირეების ნოტამ განიარაღების ან საგარეო ხელშეკრულების შესახებ.

ერთნი ამტკიცებენ, რომ საქმე ალბათ გაკოტრებამდი არ მივიდოდა, რომ სათავეში მოხუცი სტინესი ყოფილიყო და არა მისი უნიჭო შვილები. სხვები იმ აზრის არიან, რომ გაკოტრება აუცილებელი იყო, რადგან მარკის ფასდაცემის პერიოდში კონცერნმა ბევრ დიდ საქმეებს მოჰკიდა ხელი. მოხუცი სტინესი უკვე მაშინ განიცდიდა ფულის ნაკლებობას და ლონდონში გაემგზავრა ფინანსიური დახმარების მისაღებად.

გაკოტრების პირველი მსხვერპლი გახდენ მრავალრიცხოვანი გაზეთები, რომელსაც კონცერნი სცემდა საზოგადოებრივი აზრის თავის სასარგებლოდ დასამუშავებლად. სტინესის ორგანო „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ გადავიდა კათოლიკური პარტიის მემარჯვენე ფრთის ხელში.

დიდი მღელვარება გამოიწვია კონცერნის მდგომარეობამ მსხვილ ბანკებს შორის, რომელთა წარმომადგენლები მთელი ღამის განმავლობაში თათბირობდენ და გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ზომებს ეძებდენ. მათ გადასწყვიტეს მისცენ კონცერნს სესხი რამდენიმე ათეული მილიონი მარკის რაოდენობით, დახუჭონ მეორეხარისხოვანი წარმოებები, რომ ამით ოდნავ მაინც შეამსუბუქონ მდგომარეობა.

კონცერნის პრესამ თავის მხრივ მიიღო საჭირო „დირექტივები“. კონცერნის მდგომარეობას უკანასკნელ დღეებში გაზეთები „გამოკეთებულად“ სთვლიან.

სხვა და სხვა ამბები

— **პოლონეთში.** ვარშავაში გაიწვიეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შერეული კომისიის თავმჯდომარე ლეონ ვასილევსკი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს პოლონეთის აღმოსავლეთ ოლქების მდგომარეობის გამოსარკვევად დანიშნული პოლიტიკური კომისიის მუშაობაში.

— **სამინისტრო სავარძლებს არ ეთხოვებიან.** ჩეხო-სლოვაკიის სოციალ-დემოკრატები რჩებიან მთავრობაში.

— **მთავრობის კრიზისი ავსტრალიაში.** არჩევნებში მუშათა პარტიის გამარჯვების გამო ფელლერის კაბინეტი გადადგა. მუშათა პარტიის ლიდერმა ლანგმა იკისრა მთავრობის შედგენა.

— **დორიოს ბინის გაჩხრეკა.** პარიზის პოლიციამ გასტეხა კომუნისტ დეპუტატის დორიოს ბინა (დეპუტატი საფრანგეთში „ხელუხლებლობით სარგებლობს“), დაამტვრია მაგიდის ყუთები და წაიღო სხვადასხვა წიგნები და ხელთნაწერები.

— **გაფიცვა ბელგიაში.** ლითონის მრეწველობის მუშებმა შარლერუას ოლქში დაადგინეს საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადონ შრომის ხელფასის შემცირების გამო.

— **უმუშევრებს სასაკლაოზე გზავნიან.** საფრანგეთის მთავრობამ ექვსასი პოლონელი მუშა, რომლებიც პა-დე-კალეს რაიონში მუშაობდენ და შემდეგ დაითხოვეს, ჩარიცხა უცხოელთა ლეგიონში და გაგზავნა მაროკოში საომრად.

— **პოლონეთის ახალი შინაგან საქმეთა მინისტრი.** პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ვილნოს ვოევოდა ვლადისლავ რაჩკევიჩი.

— **ინგლისის ესკადრა ბალტიის ზღვაში.** 15 ივნისს ჰელსინგფორსში ჩავიდა ინგლისის ესკადრა, რომელიც შესდგება 4 მსუბუქი კრეისერისა და 9 განმანადგურებლისგან ადმირალ კელლის მეთაურობით.

— **სალაყბომ დაამთავრა „მუშაობა“.** დაიხურა ბალკანეთის „სოციალისტური პარტიების კონფერენცია“.

— **„ბუნდი“-ს პროტესტი.** პოლონეთის სეიმის ბუნდის ფრაქციამ პოლონელ „სოციალისტ“ დეპუტატის სტანჟევსკის ანტისემიტური (ებრაელების წინააღმდეგ მიმართული) გამოსვლის გამო, პროტესტი განაცხადა. პროტესტში განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პრეზიდიუმმა არ გაკიცხა სტანჟევსკი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. რაკოვსკი მოსკოვში

მოსკოვი, 17 ივნისი. 16 ივნისს ლონდონიდან მოსკოვში ჩამოვიდა რაკოვსკი.

რადიო-აგიტაცია.

მოსკოვი, 18 ივნისი. რადიო-აგიტაციის ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, რუსეთის კომპარტიის ცკამ დააკისრა რ. კ. პ. ცკასთან არსებულ რადიო-კომისიას როგორც იდეოლოგიური და სამხატვრო, ისე საორგანიზაციო მხარეების ხელმძღვანელობა.

რადიო-სათათბიროების ქსელის გაფართოვებისათვის თვალყურის დევნება დაკისრებული აქვს ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატს.

სრულიად საკავშირო ფინანსიური თათბირი.

მოსკოვი, 18 ივნისი. სრულიად საკავშირო ფინანსიური თათბირი გაიხსნება 27 ივნისს.

რ. ა. ლ. კომკავშირის კონფერენცია

მოხსენება რუსეთის კომკავშირის ცკას მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 18 ივნისი. 17 ივნისს რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის კონფერენციაზე ცკას მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ჩაპლინმა.

ჩაპლინმა აღნიშნა, რომ კომკავშირი უკანასკნელი წლის განმავლობაში ძლიან გაიზარდა. რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი 1925 წ. 1 მაისისათვის 1 მილიონზე მეტს აღწევდა, თუმცა ზრდა სწარმოებდა უმთავრესად გლეხთა ახალგაზრდობის ხარჯზე. კავშირის მუშური ელემენტი საკმაოდ ძლიერია და შეადგენს კავშირის საერთო შემადგენლობის 43 ნახევარ პროცენტს.

ბოლოს ჩაპლინი შეეხო ახალგ.

უცხოელი მუშები მოსკოვში

მოსკოვი, 17 ივნისი. ფრანგმა და ბელგიელმა მუშებმა, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვში, ინახულეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და პროფკავშირთა ც. კ. მუზეუმი, სადაც გაეცნენ ჩვენი პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობას. საღამოს უცხოელმა მუშებმა დაათვალიერეს მოსკოვის მუშათა კლუბები

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინ. მდგომარეობა

ამხ. ბუხარინის მოხსენება რ. ხ. ლ. კ. კ. კონფერენციაზე

საერთაშორისო მდგომარეობა

როგორ უნდა გვესმოდეს „კაპიტალის სტაბილიზაცია“.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ „კაპიტალის სტაბილიზაციაზე“, სრულიადაც არ ვგულისხმობთ იმას, რომ კაპიტალიზმი გადავიდა თავისი განვითარების ახალ ხანაში, რომ მოშუშებულია ომში მიღებული ჭრილობები, რომ კაპიტალიზმის კრიზისი უკვე დამთავრდა. მაროკოს და ჩინეთის ამბები ამტკიცებს სულ საწინააღმდეგოს“.

იმპერიალისტების ერთიანი ფრონტი.

შეეხო რა საკითხს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტების ერთიანი ფრონტის შესახებ, ბუხარინმა სთქვა: „თუ დღემდის კაპიტალისტურ სახელმწიფოების ერთიანი ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ არ მოხერხდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ რიგ სახელმწიფოებს ბევრი თავსატეხი საქმეები აქვთ გასაკეთებელი. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა გამოვამჟღავნოთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ბოროტი და საზიზღარი კამპანია. ჩვენთვის საჭიროა მშვიდობიანობა და უნდა ვაწარმოვოთ მშვიდობიანი პოლიტიკა, მაგრამ რა თქმა უნდა, ჩვენ არავის სათამაშო საგნად არ გავხდებით. ჩვენ ნებას არავის მივსცემთ შემოიღონ ჩვენში ჩინური წესები და „უცხოელების უფლებები“. მდგომარეობა მოითხოვს ჩვენგან, რათა მშვიდობიანობის პოლიტიკასთან ერთად, ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენ შეურაცხყოფა არავინ მოგვაყენოს, რათა ჩვენ შევქმნათ ძლიერი სახმელეთო და სანაპირო ძალა, რომელიც გაუმკლავდება ყველას, ვინც გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებას“.

შინაური მდგომარეობა

შეეხო რა კავშირის შინაურ მდგომარეობას, ბუხარინმა ხაზ გაუსვა „პირი სოფლისაკენ“—ლოზუნგის მნიშვნელობას.

რას ნიშნავს „პირი სოფლისაკენ!“

ბუხარინმა დაწვრილებით გაარჩია საკითხები საქონლის ბრუნვის შესახებ სოფლად და სოფლის კოოპერაციის როლი. კოოპერაციის საკითხის გადაჭრა წარმოადგენს სოციალისტურ წესწყობილებისაკენ გზის გაკაფვას. შემდეგ ბუხარინი იხილავს საკითხს, წარმოადგენს თუ არა ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“ პროლეტარულ პოზიციიდან გადახრას და გამოჰყავს დასკვნა, რომ ეს ასე არ არის. პროლეტარიატმა, რომელიც ძალა-უფლების სათავეშია, ხელი უნდა შეუწყოს მრეწველობის და გლეხთა მეურნეობის კავშირს, რადგან უკანასკნელის განვითარებაზე დამოკიდებულია მრეწველობის განვითარება.

ბუხარინი აღნიშნავს, რომ ხშირად ჩვენს პოლიტიკას სოფლად სთვლიან ქალაქისადმი ზურგის შექცევად. ასეთი მსჯელობა სრული შეცდომაა. იქნა ლაპარაკი იმაზე, რათა მუშათა კლასმა ახალი მეთოდებით განამტკიცოს თავისი დიქტატურა, თავისი ძალა-უფლება და თავისი კავშირი გლეხურ მეურნეობასთან. ჩვენი პოლიტიკა სოფლად არა თუ არ მოასწავებს ქალაქისათვის ზურგის შექცევას, არამედ, პირიქით, უფრო ახლოს მისვლას მასთან. თუ ჩვენ ხელს უწყობთ სოფლის საბჭოებს და სასოფლო კოოპერაციას, თუ ჩვენ ვატარებთ დემოკრატიზაციას სოფლის მიმართ, ჩვენ აუცილებლად უნდა ავანხალაუროთ ეს ყველა პროლეტარულ ცენტრებში და პირველ ყოვლისა პროფკავშირებში მუშაობის გაცხოველებით. თუ ჩვენ ვატარებთ დემოკრატიას სასოფლო საბჭოების არჩევნების დროს, მაშინ ეს ათჯერ უფრო ძლიერად უნდა გავატაროთ პროფკავშირთა ორგანოების არჩევნების დროს.

დახმარება მეაბრეშუმეობას

მოსკოვი, 18 ივნისი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში შეიტანა წინადადება აბრეშუმის დამამზადებელ კამპანიისათვის 5.400.000 მანეთის რაოდენობით დახმარების მიცემის შესახებ. ამ თანხის ნაწილი მოხმარდება მეაბრეშუმეობის აღდგენას ცალკე რესპუბლიკებში.

1925 წ. აბრეშუმის მოსავალი მოსალოდნელია: შუა აზიაში—200.000 ფუთი ნედლი და 67.000 გამხმარი პარკის, აზერბეიჯანში: 100.000 ფუთი ნედლი და 33.000 ფუთი გამხმარი, საქართველოში 14.000 ფუთი ნედლი და 45.000 გამხმარი პარკი.

სპეცებისათვის პრემიების მიცემა

მოსკოვი, 18 ივნისი. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს შეუთანხმა დადგენილება სპეციალისტების შრომის ხელფასის შესახებ. დადგენილება ითვალისწინებს სპეციალისტებისათვის პრემიების მიცემას სამეურნეო მიღწევებისათვის; პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ზედმეტი ხარჯების შემცირებისათვის, შეკვეთათა თავის დროზე შესრულებისათვის, წარმოებებისათვის საჭირო მასალის თავის დროზე მიწოდებისათვის და სხვა.

პრემიების რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

გადაფრენა მოსკოვი—პეკინი

ექსპედიციის საპატივცემოდ.

ნოვო-ნიკოლაევსკი, 18 ივნისი. 14 ივნისს, აეროდრომზე ზეიმით შეეგებენ საჰაერო ექსპედიციას. ქალაქში დიდი აღფრთოვანება იყო. ქუჩებში დადგმული იყო ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები, მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვების გადასაცემად. ქალაქში თავი მოიყარა დიდძალმა გლეხობამ მახლობელ სოფლებიდან.

ფ. ნანსენი სომხეთში

ლენინაკანში

ლენინაკანი, 17 ივნისი. ნანსენის და კომისიის წევრების შესახვედრათ ლენინაკანში გაემგზავრენ სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ერზიკიანი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი დიურგარიანი.

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ნანსენს მიესალმა ერზიკიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები კარგად იცნობენ ნანსენის მოღვაწეობას; ნანსენი არის საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობარი. ნანსენი ეხლაც კვლავ ამ ხალხთა შორის იმყოფება.

საპასუხო სიტყვაში ნანსენმა განაცხადა, რომ ის ძალიან მოხარულია, რომ ხვდება სომხეთის ხალხს, რომელსაც ბევრი წვალება და გაჭირვება გადაუტანია ომის დროს.

ნანსენმა კმაყოფილება გამოსთქვა, რომ სომხეთის ხალხი აღვითარებს თავის კულტურას და მეურნეობას.

ერევანში.

ერევანი, 17 ივნისი. 17 ივნისს 1 საათზე და 40 წუთზე ნანსენი საერთაშორისო კომისიასთან ერთად ჩავიდა ერევანში. კომისიას შეხვდნენ: სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მრავიანი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და პასუხისმგებელი ამხანაგები.

სადგურიდან ნანსენი კომისიის წევრებთან ერთად ეწვია სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ლუკაშინს და შემდეგ ცაკის თავმჯდომარეს ამბარცუმიანს.

„ხორურდაინ ჰაიასტან“ ნანსენის ჩამოსვლის შესახებ.

ერევანი, 18 ივნისი. „ხორურდაინ ჰაიასტან“ ნანსენის კომისიის ჩამოსვლის შესახებ სწერს: „კომისიამ უნდა შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელის ლტოლვილ სომხების დაბრუნება და დაბინავება საბჭოთა სომხეთში.

საბჭოთა სომხეთის მთავრობა ყოველგვარ ზომებს ხმარობს ლტოლვილთა საკითხის გადასაჭრელად. რესპუბლიკაში უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში დაბინავებულია 50.000 ლტოლვილი. უცხოეთიდან (ოსმალეთიდან და მესოპოტამიიდან) მიღებულ იქნა 20.000 კაცი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ლტოლვილთა საკითხი არ შეიძლება საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს.

ნანსენის სახელს კარგად იცნობს სომხეთის მშრომელი ხალხი. ჩვენ მივესალმებით ნანსენის და მისი კომისიის ჩამოსვლას სომხეთში. კომისია მიიღებს ჩვენგან ყოველგვარ ცნობებს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მას აინტერესებს. საბჭოთა სომხეთს თავისი საშუალებებით არ შეუძლია ათეულ ათასობით ლტოლვილთა მიღება და დაბინავება, მაგრამ ის მზად არის ხელი შეუწყოს ლტოლვილთა დაბინავებას, თუ უზრუნველყოფილი იქნება ლტოლვილების გადმოყვანის და დაბინავებისათვის საჭირო ხარჯები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პატივცემულ ნანსენს გულწრფელად სურს ლტოლვილთა საკითხის გადაჭრა, თუმცა წარსულის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მუშები და გლეხები ლტოლვილებთან ერთად არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ ბურჟუაზიულ ევროპას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დადებითად გადასჭრას საკითხი, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის სათანადო დახმარების აღმოჩენას ნანსენის კომისიისათვის“.

ნანსენის კომისიამ უკვე დაიწყო მუშაობა

ერევანი, 18 ივნისი. 17 ივნისს საღამოს 6 საათზე სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან შესდგა ნანსენის მისიის და ლტოლვილთა საკითხის მომწესრიგებელ კომისიის გაერთიანებული სხდომა **მრავიანის** თავმჯდომარეობით და მთელ რიგ სპეციალისტების მონაწილეობით. მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა **ერზიკიანმა** გააცნო ნანსენის კომისიის ლტოლვილთა გადმოსახლების გეგმა. დაწვრილებით იქნა განხილული აგრეთვე სარდარაბადის მორწყვის პროგრამა.

18 ივნისს გაერთიანებული სხდომის დადგენილების თანახმად, ნანსენის კომისია წავიდა სარდარაბადში. კომისიას თან გაჰყვენ ლტოლვილთა საკითხის მომწესრიგებელ კომისიის წარმომადგენელი **გრიგორიანი**, სომხეთის წყლის მეურნეობის სამმართველოს გამგის მოადგილე **პეტროსიანი** და მთელი რიგი სპეციალისტებისა.

ჭიათურის შავი ქვის კონცესიის გარშემო

წინასწარი მუშაობა კონცესიის გადაცემის მოსამზადებლათ.—საკითხი მთავრობის მუდმივი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ კონცესიის მმართველობას თან.—თბილისში ჩამოვა ჰარიმანის რწმუნებული ინჟინერი რასკოვიჩი.—ვინ არის ჰარიმანი.—25 ამერიკელი ინჟინერის ჩამოსვლა.—სამუშაოს იშოვის 3.000 მუშა. ამხ. ჯაყელის დაბრუნება მოსკოვიდან.

საუბარი ამხ. მგალობლიშვილთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სააქციონერო საზოგადოება „ჩემო“-ს დირექტორმა ამხ. მგალობლიშვილმა იმ მოსამზადებელი მუშაობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ჰარიმანის კონცესიასთან, განაცხადა შემდეგი:

ქონების გადაცემა

— ჰარიმანთან ხელშეკრულების დადების გამო, ამჟამად მიღებულია ზომები იმ ქონების გადასაცემად, რომელიც მთავრობას ეკუთვნის ჭიათურაში და ფოთში; ე. ი. გადაცემული იქნება ქარხნები, შავი-ქვის დასაწყობი პლატფორმები და თვით შავი-ქვის რაიონი—იმ ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია ხელშეკრულებაში.

გადაცემა მოხდება ორი თვის განმავლობაში.

დამზადებული მადანი, რომელიც მთავრობას ეკუთვნის, იმ შემთხვევაში, თუ დადებული იქნება შეთანხმება კონცესიონერთან, შეიძლება მივყიდოთ მას ანდა გადავსცეთ გასაღებლად საკომისიო საფუძვლებზე. თუ ასეთი შეთანხმება დადებული არ იქნება, მაშინ მთავრობა თვითონ გამოიტანს ამ მადანს.

საქართველოს სახალხო კომისარიატა საბჭოს დადგენილება.

— მეორე პრაქტიკულ ნაბიჯს, რომელიც დაკავშირებულია საკონცესიო ხელშეკრულების შესრულებასთან, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის და საბჭოთა საქართველოს მთავრობების განსაკუთრებული რწმუნებულის დანიშვნა საკონცესიო მმართველობასთან.

ამ პირს დამოკიდებულება ექნება კონცესიონერთან ყველა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია კონცესიასთან.

სათანადო დადგენილება ამ საკითხის (რწმუნებულის დანიშვნის შესახებ) საკავშირო მთავრობასთან შესათანხმებლად უკვე მიღებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე.

საწინდარის შეტანა.

სამი კვირის განმავლობაში დღიდან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა კონცესიონერი ვალდებული არიან შეიტანონ საწინდარი ერთი მილიონი დოლარის რაოდენობით. ამ საწინდარის შეტანის ვადა გადის 3 ივლისს.

ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ კიდევ ამ საწინდარის მოსალოდნელ გადიდებას, და აგრეთვე „ჩემო“-ს ლიკვიდაციას, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენის მხრივ ყოველგვარი მუშაობა კონცესიის გადასაცემად ამით ამოწურული იქნება.

დღეს მოსკოვიდან თბილისში უნდა ჩამოსულიყო ჰარიმანის რწმუნებული ბ. რასკოვიჩი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ის ჩამოვა ერთი კვირის შემდეგ.

ინჟინერი რასკოვიჩი ერთი საუკეთესო მცოდნეა შავი-ქვის საერთაშორისო მრეწველობის. ფიქრობენ, რომ ის ხელმძღვანელობას გაუწევს მთელ კონცესიას.

ბ. რასკოვიჩთან ერთად თბილისში ჩამოვა ყოფილი დირექტორი ოონიის ბანკისა სტამბოლში ბ. შელინგსი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კონცესიის ფინანსიურ მხარეს.

რასკოვიჩის და შელინგსის ჩამოსვლის შემდეგ დაიწყება საკონცესიო წარმოებების მოწყობა. ქონების ჩაბარების შემდეგ კონცესიონერები, ალბათ, დაიწყებენ თავისი აპარატის მოწყობას როგორც ჭიათურაში, ისე თბილისში და ფოთში. კონცესიის მთავარი სამმართველო იქნება ჭიათურაში.

ვინ არის ჰარიმანი

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ ვინ არის ჰარიმანი, ამხ. მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ ჰარიმანი არის ამერიკის ბურჟუაზიის ერთ-ერთი უდიდესი ფინანსიურ-სამრეწველო მაგნატი და მას ამერიკაში უწოდებენ „რკინისგზის მეფეს“. ჰარიმანის ფირმას ეკუთვნის ჰამბურგ-ამერიკის ხაზის ნახევარი ნაწილი, ფირმა აწარმოებს მსხვილ საბანკო ოპერაციებს, ეწევა რკინისგზის აღმშენებლობას და სხვა.

ბ. რასკოვიჩის შესახებ ამხ. მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ ის არის შავი ქვის საქმის ერთერთი უდიდესი მცოდნე-სპეციალისტი. ბ. რასკოვიჩმა შემოიარა აფრიკა და ყველა ქვეყნები, სადაც არის შავი ქვის მადანი, და ბოლოს შეჩერდა ჭიათურაზე.

ჭიათურის რაიონის წინასწარი გამოკვლევა

ვინაიდან ორი წლის განმავლობაში კონცესიონერები უნდა შეუდგენ მუშაობას შავი ქვის წარმოებების უკეთესათ მოსაწყობათ, ტრანსპორტის ასაგებათ და სხვა, თბილისში მოსალოდნელია 25 ამერიკელი ინჟინერის ჩამოსვლა.

მათი მიზანი იქნება მადანის მდებარეობის და მისი ღირსების გამოკვლევა. ინჟინრებმა უნდა გამოარკვიონ, თუ როგორი ქარხნები უნდა იქნეს აგებული ჭიათურაში, რომ მადანის დასაკლისი გარეცხის დროს დაყვანილი იქნეს ტექნიკურათ შესაძლებელ მინიმუმამდე.

იგივე ინჟინრები შეადგენენ ადგილობრივი ტრანსპორტის მექანიზაციის გეგმას (მღარიეთიდან ქარხნებამდე და სხვა მიმართულებით), გამოარკვევენ—როგორი ტიპით უნდა იქნეს მოწყობილი ეს ტრანსპორტი და სხვა.

ინჟინრები გამოარკვევენ იმ ადგილებს, სადაც აგებული იქნება ქარხნები და აგრეთვე შეიმუშავებენ ჭიათურის ხაზის გადაკეთების გეგმას.

საერთოდ მოსალოდნელია დიდი მუშაობა. ზოგიერთი მასალები, როგორიც არის შპალები, ლიანდაგი, ცემენტი, ალბათ, დამზადებული იქნება ჩვენს შინაურ ბაზარზე.

მიუხედავათ იმისა, რომ კონცესიონერებს, ხელშეკრულების თანახმად, ქარხნების და ადგილობრივი ტრანსპორტის მოსაწყობათ მიცემული აქვთ სამ წელიწად ნახევარი, რკინისგზისა და ელევატორების მოსაწყობათ კი ხუთი წელიწადი, უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკელები, წმინდა კომერციული მოსაზრებით, ამ ვადას შეამცირებენ და ყველა ამას მოაწყობენ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ეს აღნიშნულია ხელშეკრულებაში.

ვფიქრობ, რომ ჭიათურაში სამუშაოს იშოვის არა ნაკლებ 3.000 მუშა.

სხვათა შორის, განზრახულია წინასწარი მუშაობის წარმოების დროს გამოყენებული იქნენ ადგილობრივი ინჟინერებიც.

კონცესიონერები შავი ქვის ამოღებას და ექსპორტს დაიწყებენ იმის შემდეგ, როდესაც ფაქტიურად ჩაიბარებენ კონცესიას.

სამი დღის წინათ მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ჯაყელი.

საუბარი ს-ბა „ჩემო“-ს თავმჯდომარის ამხანაგთან ალ. ჯაყელთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს საზოგადოება „ჩემო“-ს თავმჯდომარის ამხანაგმა და შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების თავმჯდომარემ ალ. ჯაყელმა, რომელიც უახლოეს მონაწილეობას იღებდა არიმანთან დადებულ ხელშეკრულების შემუშავებაში, ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ჭიათურის შავი ქვას თუ რაიმეს მოცემა შეეძლო საქართველოსათვის, არასოდეს იმაზე მეტს ვერ მოგვცემდა, რამდენიც ჩვენ უკვე მივიღეთ და მომავალშიაც მივიღებთ კონცესიონერისაგან.

ჭიათურის შავ ქვას მრავალი კონკურენტი ჰყავს, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ბრაზილიას და ინდოეთს. უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი იქნა კიდევ აფრიკის შავი ქვა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ჭიათურის შავ ქვას.

რომ ჩვენ ჰარიმანი არ დაგვეთანხმებია ხელშეკრულებაზე, მაშინ ის უეჭველად აფრიკის შავ ქვას აიღებდა.

მთავარი, რამაც მეტად დააინტერესა ჰარიმანი, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი შავი ქვა ახლოა ზღვასთან, რაც აადვილებს მის გატანას საზღვარგარეთ; ამას გარდა ჭიათურის შავი ქვაში პეროქსიდი მეტია, ვიდრე ბრაზილიის, ინდოეთის და აფრიკის შავ ქვაში.

გარდა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც ჰარიმანმა დასდო მთავრობასთან, მას მეორე ხელშეკრულებაც აქვს აგრეთვე დადებული შავი ქვის მრეწველებთან. მოლაპარაკება ორივე ამ ხელშეკრულების დასადებათ სწარმოებდა ერთდაიმავე დროს და ორივე ეს ხელშეკრულება ხელმოწერილია ერთ დღეს.

თუ თქვენ ერთმანეთს შეადარებთ ამ ხელშეკრულებებს, დაინახავთ, რომ იქ სრული თანხმობაა. კიდევ უფრო მეტი: შავი ქვის მრეწველები, იმ მიზნით, რომ გაეადვილებიათ ჰარიმანისათვის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესრულება, მრავალ დათმობაზე წავიდენ.

მაგალითად, ჰარიმანმა რომ შესძლოს მუშაობის დაწყება ქარხნების აგებამდე, შავი ქვის მრეწველები მას აძლევენ 600.000 ტონა შავი ქვას. ამასთანავე მრეწველები 10 წლის ვადით ჰარიმანს უტოვებენ 2 დოლარს თვითეული ტონი შავი ქვის ღირებულებიდან. ეს ორი დოლარი თვითეულ ტონიდან არის გარანტია იმისა, რომ მთავრობა არ დაარღვევს დადებულ ხელშეკრულებას; ამრიგად პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულებისათვის მთავრობასთან ერთად კისრულობენ მრეწველებიც.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დარღვეული არ იქნა მთავრობის მიერ, მაშინ ჰარიმანი ამ თანხას დააბრუნებს ათი წლის შემდეგ; თუ ხელშეკრულება დარღვეული იქნა, მაშინ ეს თანხა იკარგება.

ამას გარდა ხელშეკრულების ძალით მრეწველები ჰარიმანს აძლევენ მთელ იმ ქონებას ჭიათურაში, რომელიც ამ ჟამად მათ განკარგულებაშია, ამას გარდა ამავე ხელშეკრულების ძალით მრეწველები ვალდებული არიან, თუ ჰარიმანისათვის ეს საჭირო იქნება, ითანამშრომლონ მასთან.

ამრიგად მრეწველების ხელშეკრულება უადვილებს ჰარიმანს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებსაც მას აკისრებს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება.

ჩვენი თანამშრომელის შეკითხვაზე, თუ რა გავლენას მოახდენს კონცესია საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე, ალ. ჯაყელმა განაცხადა შემდეგი:

— უპირველეს ყოვლისა გაუმჯობესდება ტრანსპორტი: კონცესიონერი ვალდებულია გადააკეთოს ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი ხაზი; მან ამერიკიდან უნდა შემოიტანოს ახალი ვაგონები და ორთქლმავლები. ამას გარდა გაუმჯობესებულ იქნება ფოთის ნავთსადგური, მოწყობილი იქნება ელევატორი და სხვა.

თვით ჭიათურა კი ნამდვილი ქალაქის იერს მიიღებს: აშენებული იქნება ახალი სახლები, ყველა მაღალ მთებზე მოწყობილი იქნება ფუნიკულიორები და ჰავის მხრივ მდიდარი სოფლები ნამდვილ კურორტებად გადაიქცევა.

რაც შეეხება მუშებს, უნდა ითქვას, რომ პირველ რიგში მათთვის მოწყობილი იქნება ბინები, აბანოები, ამას გარდა ყველა მუშები მიიღებენ ცხელ საჭმელს და მათთვის მოწყობილი იქნება სათამაშოები და სასპორტო მოედნები.

ჰარიმანს მუშები ამერიკიდან არ მოჰყავს. ხელშეკრულების ძალით ის ვალდებულია ჩამოიყვანოს მხოლოდ სპეციალისტების და პასუხისმგებელი მუშაკების მხოლოდ 25 პროცენტი. დანარჩენი მუშაკები აქაურები იქნებიან.



ხელის მოწერა კონცესიაზე მოსკოვში

მარჯვნიდან მარცხნით: ამხ. ძერჟინსკი, ამხ. ჩიჩერინი, ამხ. **მამულია**, მთავარი საკონცესიო კომიტეტის წევრი ამხ. **მინკინი**, ამხ. **პიატაკოვი**, პროფ. **შრეტერი**, სავაჭრო სახლის „ჰარიმან და კომპ.“ წარმომადგენლები ბ. ბ. **ელლიოტ**, **რასკოვიჩ**, **ჯაყელი**—ექსპერტი და თარჯიმანი და **შელინგსი**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

როგორ ჩატარდა დასაბეგრავ მეურნეობათა აღრიცხვა

15 ივნისს დამთავრდა დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა.—გლეხები შეგნებულად შეხვდენ აღრიცხვას.—საალრიცხვო მუშაობის შემოწმება კრებებზე.—აღმრიცხავი აგენტები დგანან რევოლიუციონური კანონიერების სადარაჯოზე.

15 ივნისს მთელს საქართველოში დამთავრდა დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა. საალრიცხვო მუშაობა სრული წარმატებით იქნა ჩატარებული.

გლეხობა ამ საალრიცხვო მუშაობას დიდი ყურადღებით და შეგნებულად შეხვდა, რადგან წელს საალრიცხვო მუშაობას აწარმოებდენ გლეხების კრებების მიერ არჩეული კომისიები.

აქ გლეხობამ გამოიჩინა თავისი მოქალაქობრივი შეგნება. მუშაობა სწარმოებდა უმთავრესად საღამოობით, ზოგჯერ ღამღამობითაც. ღამღამობით გლეხები დაუზარებლად მოდიოდენ კომისიებში მონაწილეობის მისაღებად. დღისით კომისიებში მამაკაცებს სცვლიდენ ქალები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გაწეული საალრიცხვო მუშაობის ხელმეორედ შემოწმება ხდებოდა კრებებზე, რაც უზრუნველჰყოფდა ნაყოფიერ მუშაობას.

იყო შემთხვევები, როცა სრულ ცნობებს არ იძლეოდენ, მაგრამ ასეთი შემთხვევები კომისიებს შეჰქონდათ ოქმებში და ასეთ ცნობების შემოწმება ხდებოდა ადგილობრივად.

ზოგიერთ ადგილებში უკვე შეუდგენ მიწების და პირუტყვების გადაყვანას სახნავ მიწაზე არსებულ ნორმების მიხედვით. უნდა ითქვას, რომ შარშანდელთან შედარებით წელს როგორც მიწების, ისე პირუტყვების გადაყვანის ნორმები უფრო დაბალია.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი ზომები—ქცევები და დღიურები წელს უკვე აღარ ითვლება დესეტინებად, როგორც ეს ხდებოდა ზოგიერთ ადგილებში გასული კამპანიის დროს.

აგენტები წელს უაღრესად კეთილსინდისიერად მუშაობენ, თვითვე ადევნებენ თვალყურს, რომ არსად არ იქნეს დარღვეული რევოლიუციონური კანონიერება.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

ბარიტის წარმოება.

ს. მ. უ. საბჭოს შუამდგომლობის თანახმად ეთხოვა საბჭოთა კავშირის სამრეწველო ბანკის თბილისის განყოფილებას, მიეცეს სესხად ს. მ. უ. ს. სპეციალურად ბარიტის წარმოების საჭიროებისათვის 100.000 მან.

მატყლის შეძენა.

ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით, წინადადება მიეცა ს. მ. უ. საბჭოს შეისყიდოს ქუთაისის საქსოვი ქარხნას საჭიროებისათვის 9.000 ფუთი მატყლი.

ს. მ. უ. საბჭოს ნება მიეცა შეიძინონ მატყლი კერძო პირებისაგანაც, თუ ისინი უფრო იაფად მიაწვდიან.

ამ მიზნით ეთხოვა ს. ს. რ. კ. სამრეწველო ბანკის თბილისის განყოფილებას მისცეს სესხად ს. მ. უ. საბჭოს 100.000 მან.

ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების პროექტები.

გაღებულია საქ. სახ. კომისართა საბჭოს თანხებიდან 3.500 მან. ს. მ. უ. საბჭოს განკარგულებაში ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების პროექტების შესადგენათ.

გზების შეკეთება ზუგდიდის მაზრაში.

ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო, აღნიშნული სამუშაოების, გზათა აღმშენებლობის 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმაში შეტანა

ამხ. ლლონტის დანიშვნა.

ამხ. თ. ლლონტი დაინიშნა 1925—26 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რესპუბლიკანური კომისიის თავმჯდომარედ.

რიცეულის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ქონების გადაცემა.

რიცეულის ჰიდრო-ელსადგურის საქმეები და ქონება გადაეცემა რაჰეს ალმასკომს.

დახმარება სოფლის მეურნეობას.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის გადადებული თანხა 161.280 მან. განაწილდა საქართველოს შემადგენელ რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად: აფხაზეთს—11.280 მან., აჭარისტანს—8.070 მ., სამხრეთ-ოსეთს—4.840 მან. და საქართველოს—137.060 მანეთი.

ავტონომიურ რესპუბლიკებში ზემოაღნიშნულ თანხების განაწილება სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებს შორის დავალებული აქვს რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებს.

საქართველოსთვის გადადებული—137.060 მან., მეურნეობის დარგებს შორის განაწილდა შემდეგნაირად: მევენახეობისათვის 54.820 მან., ჯიშიან საქონლის მოსაშენებლად—41.120 მან., სახალხო მამულებს—20.560 მან. და გლეხებზე სესხის გასაცემად—20,560 მან.

ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაცია საქართველოში

დელეგაცია ბორჯომში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დელეგაცია მარიამ ორახელაშვილის, ჰელიძის, ჩერნიშევას და სხ. თანხლებით ჩამოვიდა ბორჯომში. პროფესიონალურ ორგანოების და წარმოებების წარმომადგენლები ეწყვნენ დელეგაციას და გადასცეს მხურვალე სალამი. ბორჯომის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ დელეგაციის ჩამოსვლას.

კველმა სამაგიერო სალამი გაუგზავნა მუშებს დელეგაციის სახელით და მწუხარება გამოსთქვა, რომ დროს უქონლობის გამო საშუალება არ აქვს ადგილობრივ გაეცნოს წარმოებების მდგომარეობას და მშრომელთა ყოფა-ცხოვრებას.

პროფბიურომ დელეგაციას გაუმართა საუზმე, რომელზედაც განმეორებით მიესალმნენ ერთმანეთს დელეგაციის წევრები და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამის შემდეგ დელეგატებმა ინახულეს მინერალური წყლების პარკი და დაათვალიერეს ქალაქი.

—ლი.

პარტიული ცხოვრება

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედში

ამას წინათ ერთიან პარტიულ დღეს, შესდგა პოლიტეხნიკუმის და მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედების და ახ. კომკავშირის შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრო აგრეთვე მრავალი უპარტიო სტუდენტობა. მოხსენება გააკეთა მუშფაკის დეკანმა ამხ. პისეცკიმ: „სტუდენტთა მუშაობა სოფლად", სადაც მოკლედ და შინაარსიანათ დაასურათა სოფლის მდგომარეობა და ის დიდი მუშაობა, რომელსაც საჭიროებს სოფელი და რომელშიაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა სტუდენტმა სოფლად ყოფნის დროს. მოხსენება გულმოდგინეთ მოსმენილ იქნა, რის შემდეგაც გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს სოფლად ყოველ დარგში მუშაობის აუცილებლობას და სათანადო დირექტივებს იძლევა ამ მუშაობის წარმოებისათვის.

დამთავრდა სწავლა მუშათა ფაკულტეტში და ყოველი მუშფაკელი სიხარულით ეშურება თავის სოფლისაკენ, რომ გაუზიაროს თავის სოფლელებს ის ცოდნა, რაც მან მიიღო ფაკულტეტში და თავისი ცოდნით გაუწიოს ყოველგვარი დახმარება სოფლის გლეხობას.

პარტკორი ალგალ-ი.

გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის კომუჯრედში

5 ივნისს შესდგა ჩვენი სტამბის კომუჯრედის სხდომა. სხდომას დაესწრო პარტიის 20 წევრი, 8 კანდიდატი და 6 კომკავშირელი. გაირჩა შემდეგი საკითხები: კოოპერაციის შესახებ, პარტიაში გადარიცხვა, კომუჯრედთა მდივნების თათბირის შესახებ, ინფორმაცია დელეგატების კრების შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ყველა საკითხები კომუჯრედის კრებაზე გაშუქებული იყო ამხანაგების მიერ და სათანადო დადგენილებებიც იქნა გამოტანილი. ამხ. ჯაშის პარტიაში გადარიცხვა კომუჯრედმა მიიღო.

გაირჩა აგრეთვე საკითხი საერთოდ ამხანაგების მიერ დისციპლინის დარღვევის შესახებ, რის გამოც კომუჯრედის მდივანს დაევალა ყურადღება მიაქციოს მათ, ვინც არღვევს დისციპლინას კრებაზე დაუსწრებლობით და ძლიერ აფერხებს უჯრედის მუშაობას. გარდა ამისა ბიუროსაც ევალება ასეთ ამხანაგებს სასტიკი პასუხი მოსთხოვოს სადელეგატო კრებაზე არდასწრების გამო.

მიმდინარე საკითხებში გაირჩა, სხვათაშორის, კომკავშირელი ოგანეზოვის საქმე, რომელიც შეეხებოდა მის ოჯახურ ყოფა-ქცევას, რის გარშემოც წინა კრებაზე არჩეული იყო კომისია კომუჯრედისაგან საქმის გამოსარკვევად. კომისიის დასკვნის თანახმად, ოგანეზოვი გარიცხული იქნა კომკავშირიდან, როგორც პარტიისთვის შეუფერებელი წევრი.

პარტკორი ყ—ნი.

მუშაობა ქ. დუშეთის ქალთა შორის

ზამთრის განმავლობაში დუშეთის ქალთა შორის იყო დაწყებული პოლიტიკური მეცადინეობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. ტ. სალარაძე, ტარდებოდა სისტემატიურად ყოველკვირა ქალთა კრებები და კვირაში ორჯერ სწარმოებდა პოლიტ-მეცადინეობა, რომელსაც ესწრებოდენ ყველა დელეგატი ქალები. ამ ხნის განმავლობაში იყო გავლილი შემდეგი:

1) რუსეთის კომპარტიის ისტორია;
2) საბჭოთა კონსტიტუცია და მისი ძირითადი პრინციპები;
3) პოლიტიკური ეკონომია.

აგრეთვე ამხ. სალარაძეს უხდებოდა მოხსენებების გაკეთება სხვადასხვა თემებზე.

თიანელი დათ.

პარტიული მუშაობა ზუგდიდის მაზრაში

საერთო მდგომარეობა.

ზუგდიდის მაზრაში არსებობს ხუთი სანიმუშო უჯრედი. 1) დარჩელის, 2) ხეთის, 3) ნიკოსის, 4) კორცხელის და 5) ცაიშის. ამ უჯრედებში მომზადებული ამხანაგების უქონლობის გამო, რომლებიც საფუძვლიანად გაცნობილი ყოფილიყვნენ ჩვენი პარტიის დღევანდელ კურსს და მორიგ ამოცანებს, მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სამაზრო კომიტეტმა ამ სანიმუშო უჯრედებზე მიამაგრა მაზრის პ | მგ. მუშაკები, მუშაობა იქ გამოცოცხლდა. თუ ხანდისხან ორგანიზაციული მხარე მუშაობისა მაინც მოიკოჭლებდა, ეს გამოწვეული იყო ხშირად იმ გარემოებით, რომ მაზრის კომიტეტი ამა თუ იმ რთული კამპანიების და არჩევნების ჩასატარებლად ამ პ | მგ ამხანაგებს გზავნიდა რაიონებში და თემებში და ამიტომ მათ არ მიეცათ საშუალება სისტემატიური ხელმძღვანელობა გაეწიათ ზემოხსენებული უჯრედებისათვის.

ზოგიერთ რაიონულ კომიტეტებში, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ხასიათის მუშაობა ძალზე მოისუსტებდა, ვინაიდან რაიკომის პ | მგ. მდივნები, თავის პირდაპირი დანიშნულების სათანადოთ არ ცოდნის გამო, ხშირად უშუალოდ ერეოდენ საბჭოთა ორგანოების მუშაობაში და ეს უკანასკნელნი პირიქით. ეს მოვლენა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მიერ თავის დროზე იქნა ყოველმხრივ შესწავლილი და კიდევაც საქმის გამოსასწორებლად მან უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები, რამაც ზუგდიდის ორგანიზაციას ააცილა ყველა ის უარყოფითი მხარეები, რომელთაც წინედ ადგილი ჰქონდათ ზოგიერთ რაიონებში. სამაზრო კომიტეტმა ჩაატარა რაიკომების პ | მგ. მდივნების გამოცვლა, დაინიშნენ ახლები, რის შემდეგ ქვემდებარე პარტ-უჯრედებთან კავშირი თანდათან მტკიცდება.

მუშაობა ქალთა შორის

ზუგდიდის მაზრაში ქალთა შორის მუშაობის შესაფერ დონეზე დაყენებას ხელს უშლის მომზადებული ქალების კადრის უქონლობა, რის წყალობით სოფლის გლეხ-ქალების მეტად უმნიშვნელო ნაწილი არის ჩაბმული კულტურულ - განმანათლებელ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ზუგდიდის ზოგიერთ სოფლებში ქალები იშვიათი სტუმრები არიან საერთო კრებების. რასაკვირველია, აქ გადამწყვეტ როლს არ თამაშობს მათი მარტო ოჯახური და ეკონომიური მდგომარეობა, არამედ კულტურული განვითარების დონე.

საჭიროა მაზრის ქალთა განყოფილებამ პოლიტგანათლების განყოფილებასთან ერთად გადასდგას რეალური ნაბიჯი ქალების კულტურული დონის ასაწევად, მათ ჩასაბმელად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბოლო დროს უნდა ითქვას, რომ მაინც დაეტყო ერთგვარი გამოცოცხლება ქალთა შორის მუშაობას. ქალთა განყოფილება მეტ საქმიანობას იჩენს.

თანამგრძნობ ქალთა უჯრედებში პოლიტიკური მეცადინეობა გამოცოცხლდა. მაზრაში არსებობს „ბავშვთა მეგობართა საზოგადოება", დაარსებულია აგრეთვე სამკერვალო და სამრეცხავი არტელი, სადაც მუშაობს 7-მდე ქალი.

კ. პატარაია.

ჯანმრთელობის საქმე

ექიმ-პედაგოგის დ. ა. გედევანიშვილის 40 წლის იუბილე

კვირას, 14 ივნისს, დღის 1-საათზე სანგანათლების სამკითხველოში შესდგა ექიმ დ. ა. გედევანიშვილის 40 წლის იუბილეს მომწყობ კომისიის სხდომა, გამოტანილი იქნა დადგენილება, დ. ა. გედევანიშვილის 40 წ. საზოგადოებრივ მოღვაწეობის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა გაიმართოს კვირის 21 ივნისს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში. ამასთანავე შემუშავებულ იქნა ზეიმის პროგრამა.

ახალი სანიტ-განმანათლებელი პიესები

თბილ. ალმასკ. ჯანმრთელობის განყოფ. სანგანათლების სარედაქციო კოლეგიამ ამ დღეებში თავის სხდომაზე განიხილა ახალი სანიტ-განათლების პიესები, რომელთა შორის მოწონებული იქნა ექიმ ა. სავანელის საგიტაციო ხასიათის პიესა „**გარყვნილების ბუდე**" 3. მოქმედებათ. პიესაში ასახულია პროსტიტუციის და ვენერიულ ავადმყოფობათა საშინელებანი. პიესა დაიბეჭდება სანგანათლების თვიურ ჟურნალ „**საუნჯე**"-ში და მოკლე დროში წარმოდგენილი იქნება ერთ ერთ მუშათა თეატრში

არსენალის რაიონის უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია

მეორე სხდომა

შეკითხვები ამხ. სერგო ორჯონიკიძეს

ამხ. სერგო ორჯონიკიძეს მის მოხსენებაში აღძრულ ზოგიერთ საკითხებზე მისცეს მრავალი შეკითხვა, რომელიც ეხებოდა ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს.

ერთი დელეგატი შეეკითხა მომხსენებელს, თუ ვის მოხმარდება ის ფული, რომელიც დარჩება წმინდა მოგებად ამ რამოდენიმე დღის წინად დადებულ საკონცესიო ხელშეკრულებიდან ჭიათურის შავი ქვის შესახებ.

ამ შეკითხვაზე მომხსენებელმა უპასუხა, **რომ კონცესიიდან მიღებული ფული მოხმარდება საქართველოს მეურნეობის, მისი კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების აღორძინების საქმესო.**

საქართველო არ რჩება ამ შემოსავლის ამარა; როგორც წინა წლებში, მომავალშიაც იგი კიდევ მიიღებს დახმარებას საბჭოთა კავშირის სალაროდანო."

კამათი მოხსენების გარშემო

შეკითხვებს შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც იმდენათ მომხსენებლის კრიტიკას არ შეიცავდა, რამდენად იმ დეტალებათა დადასტურებას, რომელიც თავის მოხსენებაში წამოაყენა ამხ. ს. ორჯონიკიძემ. ორატორები ერთხმად ადასტურებდენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის წარმატებას სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, ხაზს უსვამდენ მშრომელთა მასების კულტურულ დაწინაურებას, და მათი ეკონომიური კეთილდღეობის თანდათანობით გაუმჯობესებას. ორატორები ეხებოდენ აგრეთვე ჩვენი სინამდვილის მტკივნეულ საკითხებს: უმუშევრობას და ინტელიგენციის საკითხს.

მიაჩნიათ რა უმუშევრობა საბჭოთა ქვეყანაში ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობის და არა სოციალური უკუღმართობის შედეგად, ორატორები საჭიროდ სცნობდენ უმუშევრობის ალსაკვეთად უფრო რადიკალური ზომების მიღებას, ვიდრე ამჟამად ტარდება. უმუშევრობის სრულ ლიკვიდაციას ორატორები უკავშირებდენ ჩვენი მრეწველობის განვითარებას.

მრავალმა დელეგატმა გამოსთქვა თავისი აზრი ინტელიგენციის შესახებ. ბევრი ორატორთაგანი ეთანხმება მომხსენებელს მასში, რომ ქართველ ინტელიგენციის რიცხვმა გადააჭარბა ჩვენს საჭიროებას კულტურულ ძალაში, რაც იწვევს ინტელიგენციის უსაქმურობას.

ორატორების ნაწილი არ იზიარებს ასეთ დასკვნებს. კულტურული ძალების საჭიროება საქართველოში დიდია, მაგრამ არა დედა-ქალაქებში, არამედ პროვინციებში—საქართველოს დაბა-სოფლებში. განათლებულ ქართველთა უმრავლესობა ეტანება ქალაქებს და გაურბის სოფელს. ამიტომ ქალაქი ზომაზე მეტად დატვირთულია ინტელიგენტური ძალებით, ხოლო სოფელი საგრძნობლად განტვირთული.

თუ ინტელიგენცია ხელს მიჰყოფს კულტურულ და საბჭოთა მშენებლობას სოფლად, ორატორთა ამ ნაწილის აზრით, ინტელიგენციის უმუშევრობის საკითხიც ადვილად გადაწყდებაო.

კამათის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა, რომელმაც ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრების განმტკიცებას და მათ კულტურულ დაწინაურებას.

რეზოლიუცია

კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის სიმტკიცე და მისი ეკონომიური წარმატება. რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა მშრომელთ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საერთო ეკონომიურ-კულტურულ მშენებლობაში.

საქართველოს სარწყავი არხები

(საუბარი საქართველოს წყალთა მეურნეობის უფროსთან ამხ. ჯამარაულთან)

იმ არხებს, რომლებიც უკვე გაყვანილია საქართველოში და რომელთა გაყვანა ეხლა სწარმოებს, უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ საქართველოს ეკონომიური აღორძინების საქმეში.

მეფის მთავრობისა და მენშევიკების დროს საქართველოში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა არხების გასაყვანად.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან გლეხებს არაერთხელ აღუძრავთ გუბერნატორის საშუალებით შუამდგომლობა საოლქო ხელისუფლების წინაშე არხების გაყვანის შესახებ, მაგრამ მეფის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გლეხების მოთხოვნილებას.

მეფის მთავრობის მთავარი ამოცანა იყო გავლენის გაძლიერება განაპირა კუთხეებში, ამ მიზნით იგი სარწყავი არხების გასაყვან მუშაობას აწარმოებდა მხოლოდ მუღანლოს და ყარაიას რაიონში, სადაც ფიქრობდენ გლეხების გადმოსახლებას რუსეთიდან.

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები ყოველთვის დავიწყებული იყო, რასაც ამტკიცებს წყალთა ინსპექციის ხარჯთაღრიცხვები და ანგარიშები, საიდანაც სჩანს, რომ სარწყავი არხების გასაყვან სამუშაოებზე იხარჯებოდა გადადებული თანხების მხოლოდ 2—3 პროც.

მეფის მთავრობის მიერ ყარაიაში გაყვანილი იყო არხი, ეგრედწოდებული მარინეს სისტემა, რომლის მოწყობა დავალებული ჰქონდა ინგლისელ ინჟინრებს ბელს და გაბას; ეს არხი დამთავრებულ იქნა 1868 წელში.

ამ ინჟინრებმა გამოიკვლიეს მთელი ამიერ-კავკასია და შეიმუშავეს პროექტები ახალი არხების გაყვანისა როგორც საქართველოში, ისე სომხეთში და აზერბეიჯანში, მაგრამ არც ერთი პროექტი განხორციელებული არ ყოფილა.

მენშევიკების დროს არავითარ აღმშენებლობას არ ჰქონია ადგილი; არსებული სისტემები ინგრეოდა და გასაბჭოების დროს ყველა არსებული სისტემებიდან დანგრეული აღმოჩნდა 60—75 პროც.

საქართველოში ორი არხი („მაშაველი" და პირველი საბჭოთა არხი) უკვე გაყვანილი და გახსნილია. სწარმოებს მუშაობა მესამე გრანდიოზული არხის გასაყვანათ ტირიფონის ველზე.

ტირიფონის ველი მეფის მთავრობას უნდოდა გამოეყენებია კავკასიის ჯარის საზაფხულო მანევრებისათვის. იქ მოსახლე გლეხებს აყრას უპირებდენ და მათი გადასახლება უნდოდათ ყარაიაში და ახალქალაქის მაზრაში.

ტირიფონის არხის გაყვანა დაიწყო 1923 წელში. ამჟამად შესრულებულია მიწის სამუშაოების 65 პროც., **არხის სიგრძე იქნება 52 ვერსი. იგი მორწყავს 30.000 დესეტინა მიწას.**

არხი იწყება ცხინვალთან. სოფელ მეჯუდიდან ცოტათი მოშორებით მოწყობილი იქნება წყალვარდნილი, რომელზედაც შემდეგ მოეწყობა 4.000 ცხ. ძალიანი ელექტრო-სადგური.

ხელოვნური ნაშენებიდან შესრულებულია 75—90 პროც. სხვათა შორის მოწყობილი იქნება ორი დიდი სიფონი, რომელთაგან პირველის სიგრძე იქნება 140 საჟ., მეორესი—110 საჟ.

მიწის სამუშაოები ჯერ-ჯერობით შესრულებულია 25 ვერსზე. მოსალოდნელია კიდევ მთელი რიგი რთული ხელოვნური ნაშენების მოწყობა, როგორიც არის ხიდები, მთავარი ნაშენი ცხინვალთან და სხვა.

ამჟამად მუშაობა ჩქარის ტემპით მიდის. ყოველ დღე მუშაობს 700—800 კაცი. არხი დამთავრებული იქნება 1926 წელში.

ფიზკულტურის მუშაკთა თათბირი

მოხსენებები ადგილებიდან

აჭარისტანი

აჭარისტანის ფიზკულტურის საბჭოს მუშაობის შესახებ **ამხ. ჯავრიშვილის** მოხსენებიდან სჩანს, რომ სპორტის საქმე იქ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ფიზკულტურა შემოღებულია სასწავლებლებში, სადაც მეცადინეობს 700 მოსწავლე. არსებობს უჯრედები ფიზკულტურის, როგორც ბათუმში, ისე ოლქში, რომელთა რაოდენობა უდრის 15-ს; მათში იწვრთნება 778 ვაჟი და 46 ქალი. არსებობენ აგრეთვე ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები და სტადიონი.

— ამ უკანასკნელად ფიზკულტურის საქმე უფრო გამოკეთდებაო—დასძენს მომხსენებელი, რადგან მას დიდ ყურადღებას აქცევს აჭარისტანის ცაკი და სახკომსაბჭო. კერძოთ კი დიდი ღვაწლი მიუძღვით ამაში ამხ. ამხ. ი. ხიმშიაშვილს და ბარამიძეს.

აზერბეიჯანი

ამხ. ფარსადანოვი აზერბეიჯანის ფიზკულტურის მდგომარეობას ასე ჰხატავს: იქ ფიზკულტურის საბჭო ისეთ მოქმედობას იჩენს, რომ ჯერ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი არსებობს; მაგრამ ამ ბოლო დროს ამ გარემოებებს ყურადღება მიაქცია მთავრობამ და აზერბეიჯანის კომპარტიის და კომკავშირის ცეკამ და მდგომარეობა უმჯობესდება. ფიზკულტურის საქმე ბაქოში უკეთ არის დაყენებული, ვინემ პროვინციებში. ბაქოს საბჭოში კერძოთ ითვლება 67 წრე 3.500 წევრით.

მთიანი ყარაბახი

აქაური წარმომადგენელი **ამხ. შაქაროვი.** აცნობს თათბირს, რომ იქ ფიზკულტურა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მასზე არც კი ღირს ლაპარაკი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ახ. კომკავშირმა უკანასკნელად ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს.

კომისიების არჩევა

ამის შემდეგ თათბირმა აირჩია კომისიები: ორგანიზაციული, სამეცნიერო-მეთოდიური და საგიტაციო-საპროპაგანდო, რომელთაც მიენდოთ საკითხების დეტალურად განხილვა და რეზოლიუციების შედგენა.

თათბირი დამთავრდა 16 ივნისს.

პროფკავშირების პლენუმი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა: პროფკავშირთა საბჭოს მორიგი პლენუმი მოწვეულ იქნეს 22 ივნისს.

პლენუმის დღიური წესრიგია: მოხსენება სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოთა მეორე სესიის მუშაობის შესახებ, რომელსაც გააკეთებს სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მელნიჩანსკი, რომელიც ეხლა ბორჯომში იმყოფება, მოხსენება სოფლად პროფესიონალური მუშაობის შესახებ, მოხსენება სატყეო (ზემლეს) აღმშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობაზე და საბინაო აღმშენებლობაზე და აგრეთვე მოხსენებები უმუშევრობაზე, საორგანიზაციო საკითხებზე და რესპუბლიკის კულტურული თათბირის შედეგებზე.

უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის საკითხი

ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა ტიპის უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი უნდა არსებობდეს ა | კავკასიაში, მიმართა ა | კ. მთელ რიგ ტეხნიკურ დაწესებულებებს.

საბჭოთა კავშირის გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა | კავკასიაში ამ საკითხზე შემდეგი დასკვნა გამოიტანა:

უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები ახალგაზრდობას უნდა აძლევდენ სრულს საინჟინერო განათლებას, რომელსაც არ უნდა ემჩნეოდეს გადახრა ვიწრო სპეციალობისაკენ. სპეციალობის მიხედვით სტუდენტების განრიგება შეიძლება სხვადასხვა ადგილებში მივლინების საშუალებით. უმაღლეს ტეხნიკური სასწავლებლების ძირითადი განყოფილებები უნდა იქნენ: საამშენებლო, მექანიკური და სამთო-ქიმიური დარგები.

უმაღლეს ეროვნულ ტეხნიკურ ფაკულტეტების არსებობა საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების სახელმწიფო უნივერსიტეტთან წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას; რაც შეეხება უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლის არსებობას რუსულ ენაზე, სასურველია ამიერ-კავკასიაში ერთი ასეთი უმაღლესი ტეხნიკ. სასწავლებლის არსებობა თბილისში ან ქ. ბაქოში. ეს უკანასკნელი დააკმაყოფილებს ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებას. უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა ეროვნულ-პოლიტეხნიკური ფაკულტეტები უზრუნველყოფილნი იქნენ სამეცნიერო ძალებით. საქართველოსა და სომხეთში სამეცნიერო ძალების შერჩევა ასეთი ტიპის სასწავლებლებისათვის მოსახერხებელია. საჭიროა ამ მხრივ მეტი ყურადღება მიექცეს აზერბეიჯანს, სადაც ეროვნული სამეცნიერო ძალები მცირეა. იმ კატეგორიებისათვის, სადაც არ მოიპოვებიან ეროვნული ენების მცოდნე პედაგოგიური და მეცნიერული ძალები, შეიძლება მოწვეულნი იქნენ ის პირები, რომელნიც კითხულობენ რუსულ ენაზე.

ქრონიკა

ექიმ დ. ა. გედევანიშვილის იუბილე

კვირას, 21 ივნისს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში თბ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების თაოსნობით გაიმართება დ. ა. გედევანიშვილის იუბილე მისი 40 წლის საექიმო დარგში ნაყოფიერ მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით** ის უმუშევრები, რომლებიც დახმარებას იღებენ და საპატიო მიზეზის გარეშე უარს იტყვიან საზოგადო სამუშაოებზე წასვლაზე, კარგავენ დახმარების მიღების უფლებას.

— **დამზღვევი სალაროს გადახალისება.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა ტყიბულის დამზღვევი სალარო გადააკეთოს დამზღვევ პუნქტათ და შეუერთოს ქუთაისის დამზღვევ სალაროს.

— **ცრუ ავადმყოფობასთან ბრძოლა.** სოც. დაზღვევის სამმართველოს დადგენილებით თავის მოავადმყოფებასთან საბრძოლველად ყოველ 5 ათას მუშა-მოსამსახურეზე დანიშნულია 1 კონტროლიორი (დღემდე 10 ათასზე იყო 1 კონტროლიორი).

— **დავალიანება.** სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით 1 აპრილისათვის დამზღვევი სალაროების სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებს მართებდათ დაზღვევის ანარიცხების ფული 660.780 მან.

— **მეფუტკრეობის კურსები.** მეფუტკრეობის ბიურო აგვისტოს პირველ რიცხვებში ალაზან გაღმა რაიონში ხსნის მეფუტკრეობის კურსებს.

— **ჩაის მოსავალი.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით ჩაქვის სახალხო მამულში წელს ჩაის მოსავალი შარშანდელზე მეტი იქნება.

— **ხრეშის სატკეპნი.** ტრამვაის სამმართველომ საზღვარგარეთიდან გამოიწერა ტრამვაის ხაზზე ხრეშის დასატკეპნი მანქანა.

— **ქუჩების მოსარწყავად.** ტრამვაის სახელოსნო ამჟამად ამზადებს ვაგონს საწყლე ქვაბით ქუჩების მოსარწყავად.

— **ტრამვაის სამმართველომ** ტრამვაის სახელოსნოსთან მოაწყო რკინა-ფოლადის გადამდნობი სამქრო და სამჭედლო.

— **შრომის ნაყოფიერების გაზრდა.** აპრილთან შედარებით მაისის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა ერთი მესამედით.

— **წყალსაზომები.** ამჟამად თბილისში ითვლება 3293 წყალსაზომი, შარშან ამდროს კი ირიცხებოდა—2378.

— **დებულების გამომუშავება.** ქართული ჯარის პოლიტგანყოფილებამ გამოიმუშავა დებულება საზოგადო ორგანიზაციებში სამხედრო კუთხეების გახსნის შესახებ.

— **დაზღვეულთა რიცხვი.** ივნისის პირველ რიცხვებისათვის თბილისში ითვლებოდა 37,163 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **საქონლის შემოტანა-გატანა.** წარმოკავშირმა შეიმუშავა 25—26 წ. წ. საქონლის გატანა-შემოტანის გეგმა.

— **აბრეშუმის თესლის დარიგება.** მეაბრეშუმეობის საქმის გაუმჯობესების მიზნით წელს საქართველოში დარიგებული იქნა 88.500 კოლოფი თესლი.

— **თბ. დამზღვევ სალაროს ცნობით** თითო დაზღვეულზე მოდის 1 ნახევარი ოჯახის წევრი, რომელიც სარგებლობს შეღავათით.

— **შრომის ბირჟის კომიტეტი** უცხადებს ყველა დაზღვეულ უმუშევრებს 20 ივნისამდე გამოცხადდენ შრომის ბირჟაში თავიანთ სექციებში.

— **მავნებელთან ბრძოლა.** მავნებელთან ბრძოლის საწარმოებლად ცეკავშირმა მაზრებს გაუნაწილა 10 ათასი ფ. შაბიამანი და 8 ათასი ფ. გოგირდი.

— **აგარაკებზე გაგზავნა.** ცემში, აბასთუმანში, ბორჯომში და სხვა აგარაკებზე უკვე გაიგზავნა დაზღვეულთა პირველი წყება.

— **რძის სასინჯი.** წარმოკავშირმა შეიძინა რძის სასინჯი იარაღები საზღვარგარეთ.

— **მატყლის დამზადება.** წელს საქართველოში დამზადებული იქნება 25 ათასი ფ. მატყლი.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, ივნისის 20-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კალოუბნის ქ. № 1) მოხდება საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება. კრების საგანი: 1) ახალ წევრთა არჩევა, 2) ამ წლის ივნისის 6 ის კრების მიერ არჩეულის კომისიის მოხსენების მოსმენა, 3) საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა და საარქეოლოგიო სექციის ხელახალი არჩევანი. კრებაზე დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრებს საზოგადოებისას.

— **ლექცია მეძაღლეობაზე.** მაწატყის კავშირთან არსებული სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექცია, კვირას, 21 ივნისს დილის 11 საათზე, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის შენობაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 5), მართავს აგრ. თედელურის მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მეძაღლეობა ყირიმში".

— **„ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო".** გამოვიდა პ. ს. ლანდის „ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო", ინჟ. ვ. კაკიბაძის რედაქტორობით.

ხელოვნება

— **დღეს ქართული სალიტერატურო საღამოა.** დღეს ახალ კლუბში (ყოფილი ქართული კლუბი, სასახლის ქ. № 5) გაიმართება ქართული სალიტერატურო საღამო. დასაწყისი 8 ნახ. საათზე. საღამოს ბილეთების შემძენთათვის ბალში შესვლა უფასოა.

— **სახ. კონსერვატორია.** სამშაბათს, 16 ივნისს, გაემგზავრა ბორჯომში მთლიან შემადგენლობით 40 კაცამდე სახ. კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც უნდა დაუკრას მიმდინარე საზაფხულო სეზონში ბორჯომის პარკში, თანახმად ხელშეკრულებისა მთავარ საკურორტო სამმართველოსთან. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი არის სახალხო არტისტი ივ. პ. ფალიაშვილი. გარდა კონცერტებისა ორკესტრი შეისწავლის საოპერო სტუდიის რეპერტუარს.

— **სახელმწიფო საოპერო სტუდია.** მესამე საჩვენებელი საღამო საოპერო სტუდიისა გაიმართება შაბათს, 20 ივნისს. შესრულებული იქნება ოპერა „ბრძოლა კომუნისათვის" (2 მოქ.) მუს. პუჩინისა.

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბალი.** თეატრში—წარმოდგენა „საბჭოთა ეშმაკი", ბალში სინათლის გაზეთი № 11 და კინო-სურათი „ელიტა".

— **ბალ „ართოში".** დღეს „გუსარის სიყვარულის" ნაცვლად კალმანის ოპერეტა „ბაიადერკა".

— **პროვინციის სცენის მუშაკის იუბილე.** ოზურგეთის სამაზრო სახელოვნო კომიტეტის თაოსნობით 21 ივნისს სახელმწიფო თეატრში ეწყობა დამსახურებული მსახიობის სამსონ ხურციძის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი 30 წლის იუბილე.

— **ახალი პიესა.** ექიმ ა. სავანელმა დასწერა 3 მოქმედებიანი სანიტგანათლების ხასიათის პიესა „გარყვნილების ბუდე" მეძავეების ცხოვრებიდან.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ს. რემონიძის მოთხრობების მეორე წიგნი.

დღეს კინოებში

— აპოლო—„აფრიკის უდაბნოებში".
— სოლეი—„ფოლადის კაპიტანი".
— ეთერი—„კინ".
— არფასტო—„მოუთმენლობა".
— მინიონ—„მოცეკვავე ქალი ბროდვეიდან".
— პალას—„უბილეთო მგზავრი".
— ოაზის—„პაოლო ალოვარეც".

მუშათა ცხოვრება

გვიხსენით ამ ავაზაკისაგან

(პროკურატურას საყურადღებოდ).

ჩვენ ვართ სოფლიდან ჩამოსული გლეხები—მანგლისის რაიონის სოფ. არხოტში მცხოვრები გიორგი აპრაზის ძე ქარქუზაშვილი და დუშეთის მაზრიდან სოფელ ალევში მცხოვრები ვანო ხაბას ძე ჩოკაშვილი. ჩვენ გვამუშავა კერძო პირმა მოიჯარადრე პეტრე ქაცარავამ, რომელიც ცხოვრობს ქ. თბილისში პირველ სამილიციო უბანში გუნიბის ქ. № 4 საკუთარ სახლში. მან გვამუშავა მთელი თვენახევრის განმავლობაში—ყარაიაზის ტყეში. ჩვენ საქმე ავასრულეთ პირნათლად და ყოველივე ნამუშევარი ჩაიბარა გაიძვერა მოიჯარადრე პეტრე ქაცარავამ, 25 მაისს. მან კი ჩვენ შრომაზე უარი გვითხრა; გვტანჯავს, გვატყუებს, შრომის ხელფასს არ გვაძლევს. ჩვენ აქ თბილისში ვწუხდებით უბინაოდ და სიმშილისაგან და სოფელში კი ცოლშვილი გვეტანჯება.

იმედია ამ უსამართლობას მიაქცევს სასწრაფო ყურადღებას ჩვენი წითელი პროკურატურა და მიიღებს სასტიკ ზომებს გათავხედებულ მოიჯარადრის წინააღმდეგ.

გლეხები: გიორგი ქარქუზაშვილი და ვანო ხაბას ძე ჩოკაშვილი.

ჩვენ რა დავაშავეთ?!!

(სახ. განათლების კომისარიატისა და განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ-ის საყურადღებოდ)

განათლების კომისარიატის დადგენილების თანახმად ა. | წ. 1 მარტიდან შრომის სკოლების მასწავლებლებს გაუდიდდათ შრომის ხელფასი, მაგრამ ამ გადიდების ნორმებში არ არის დაცული თანაბრობა და სამართლიანობა მუშაკთა შრომის, განათლების ცენზის და სამსახურის სტაჟის მიხედვით. აღნიშნულ ხელფასის გადიდებით გაუმჯობესდა ნივთიერი მდგომარეობა მხოლოდ იმ მუშაკების, რომელთაც უჭირავთ გამგის და მისი მოადგილის ადგილი, ან იმ მუშაკების, რომელთაც არა აქვთ გასასწორებელი წერითი სავარჯიშოები და აგრეთვე იმათი, რომელნიც არიან განათლებით მაღალ ცენზიანი. ხოლო რა დავაშავეთ ჩვენ, განათლებით საშუალო ცენზიანებმა და მასთან ძველმა მასწავლებლებმა, რომელთაც გვაქვს 15—20 წლის სამსახურის სტაჟი, რომელთაც არა ნაკლები სამუშაო გვაქვს.

ამ ახალი ტარიფით ყველა ჩვენთაგანს გვაკლდება ყოველ კვირაში საშუალოთ 8—10 საათის მუშაობის ხელფასი, რაც შეადგენს საშუალოდ თვიურად 14—15 მანეთის დანაკლისს. რა დავაშავეთ ჩვენ, საშუალო განათლების ცენზიანმა მასწავლებლებმა?

ეს უსამართლობაა და იგი უსათუოდ უნდა გამოსწოროთ.

მასწავლებელი შემკითხველი.

ამ ბოროტებმა პირდაპირ [illegible]

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

მე, [illegible] მე-46 შრომის სკოლისა, ვცხოვრობ კირკის ქ. სახ. № 57-ში, მყავს ორი მოსწავლე შვილი. ამავე სახლის პატრონი—გ. ვაშაკიძე თავის ცოლით და ორი მდგმური—საფაროვი ოლღა და ოლღა ნათიშვილი, არ ვიცი, რა მიზეზების გამო, გადამეკიდნენ და მოსვენებას არ მაძლევენ. მუდამ დღე რაღაც მიზეზებს მიგონებენ, მეჩხუბებიან და აძლევენ ჩემზე ყალბ საჩივარს ხან ერთ სასამართლოში და ხან მეორეში. მე, როგორც მუშა-ქალს დრო და ღონე არა მაქვს რომ მაგ უდარდელ და მაცდურ ხალხს ავყვე. ამიტომ ვთხოვ მილიციას მომაქციოს სათანადო ყურადღება, რათა მომეცეს შეძლება თავისუფლად ვიცხოვრო ჩემ ბინაზე.

მუშ-ქალი **ხონა შმტაშვილისა.**

რა დააშავა კარუსელის ქუჩამ?

(ალმასკომის საყურადღებოდ)

ვერის ხიდიდან არტილერიის ბალკაში მიიმართება კარუსელის ქუჩა. ეს ქუჩა ერთად-ერთი ქუჩაა ბალკაში მიმავალ ეტლებისათვის, სხვა საეტლო ქუჩა აქ არ არის. გარდა ამისა, ეს ქუჩა მოკლე გზაა საპიონერისა, არტილერიისა და რაკეტის შესახვევიდან ვერის ხიდისკენ მიმავალთათვის. მიუხედავად მისი ასეთი საჭიროებისა, ის მაინც უყურადღებოდ არის დატოვებული და მისთვის არავინ ზრუნავს. ალმასკომი გაფაციცებით მუშაობს და ამშვენებს ქალაქს, ანათებს, აფართოვებს ქუჩებს, აშენებს ბაღებს, გაჰყავს ტრამვაის ახალი ხაზები, რათა ქალაქის მცხოვრებთ გაუადვილოს მიმოსვლა, ჩვენ, ბალკის მცხოვრებნი კი ვიტანჯებით უგზოობით და უსინათლოდ.

ბალკელი მუშა ნ. ახ—ლი.

ჩვენი მუშური მადლობა ღირსეულ ექიმს.

მე-6 ამბულატორიის (ყოფ. კადეტ. კორპ. შენობაში) გამგედ ითვლება ექიმი რეკვავა, რომელსაც აწევს ბევრი მუშაობა (ადმინისტრატიულ, სამეურ ნაწილში და სხვ., მაგრამ ის მეტად ფაქიზად, ერთგულად, ენერგიულად ეწევა თავის უღელს.

ავადმყოფებს უდგება დაკვირვებით და ენერგიული ცდით გართულებულს და სხეულში მძიმედ გამჯდარ სნეულებას ძირიანად სპობს. მისი ლმობიერი და თავაზიანი მოპყრობა პირდაპირ იშვიათია და მუშა-ავადმყოფებს ათქმევინებს გულწრფელ მადლობას.

ვუსურვებთ ასეთ ექიმს ჯანმრთელობას და მომავალშიც უფრო მეტ ნაყოფიერ მუშაობას.

მუშკორი **უხილავი.**

სახალხო-სამხატვრო სტუდიის გამოფენა

ამ ერთი კვირის წინად სამხატვრო აკადემიის შენობაში მოეწყო პროფ. მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიის გამოფენა, რომელიც მრავალმხრივ არის საყურადღებო და საგულისხმო.

უკანასკნელ დრომდე საქართველოში არ არსებობდა დაბალი და საშუალო საფეხურის სასწავლებელი, სადაც მხატვრობის ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდობას შეეძლებოდა მიეღო სათანადო ცოდნა და შეესწავლა მხატვრობის ტეხნიკა.

პროფ. მოსე თოიძის სტუდია ავსებს ამ დანაკლისს.

აქ თავმოყრილნი არიან უმთავრესად გლეხური და მუშური წრიდან გამოსული ახალგაზრდები, რომელთაც ემჩნევათ მხატვრობის ნიჭი და დიდი სიყვარულიც. სტუდიის ღირსება არის ის, რომ იგი ყველა მსურველთათვის მისაწვდომი ხდება; მოხერხებულად არის შერჩეული მეცადინეობის დრო, სამეცადინო იარაღები და საშუალებებიც მისაწვდომია თვით უღარიბესი მოწაფისათვისაც კი.

სტუდიის ღირსებად ჩაითვლება აგრეთვე ისიც, რომ მოწაფის თავისუფალი შემოქმედება და მისწრაფება არ იზღუდება განსაზღვრული სკოლის ფარგლებით და მოწაფის ნიჭს—ინდივიდუალობას ეძლევა თავისუფალი გასაქანი.

მეცადინეობის პროცესში თავის თავად ხდება ნიჭიერ ახალგაზრდათა შერჩევა, რადგან ისინი, ვინც მცირე ხნის გამოცდილებით რწმუნდებიან თავისი მოწოდების უძლურებაში, მალე ანებებენ თავს.

ასე რომ გამოფენაზე ჩვენ ვხვდებით ნიჭიერს და მხატვრული გამძლეობის მქონე ახალგაზრდებს.

პირველი ნაწილი გამოფენისა ჩვენ გვაცნობს თავისუფალ შემოქმედებას, რომელიც აშკარავებენ ამა თუ იმ მოწაფის ინდივიდუალურ მიდრეკილებას მეცადინეობის დაწყების პირველ პერიოდში.

გამოფენის მეორე განყოფილებაში ჩვენ ვეცნობით მოწაფეთა ლაბორატორულ მუშაობას: ადამიანის სხეულის და მისი ნაკვთების ნატურალურ გადმოცემას სხვადასხვა პოზაში. აქ ახალგაზრდები სწავლობენ ხატვის ტეხნიკას.

გამოფენის მესამე ნაწილი უკვე შეიცავს მოწაფეთა დამთავრებულ ნაწარმოებს, სადაც სჩანს, ერთი მხრივ ავტორის ინდივიდუალური თვისებები, მისი სტილი და მეორე მხრივ; მიღებული ცოდნა-კულტურა. სწორედ ამ უკანასკნელ განყოფილების მიხედვით შეიძლება ახალგაზრდა მხატვრების დახასიათება, მათი გადაჯგუფება შემოქმედების თავისებურების მიხედვით.

მხატვრებს—უმრავლესობას მთავარ თემად სოფელი აქვთ აღებული. ეს მოწმობს იმას, რომ მათი ფსიქოლოგია—პირვანდელი აპერცეპცია—არის სოფლის წიაღი თავის პეიზაჟებით და საზოგადოებრივი ცხოვრებით. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ამ ჯგუფის მხატვრები გლეხური წრიდან არიან გამოსულნი: ამ ჯგუფიდან აღსანიშნავია შარაშიძე, რომლის სოფლის სურათები ჰქმნის ნაზ ლირიულ განწყობილებას; ყურადღებას იპყრობს ზუბარაშვილიც, რომელიც გაურბის ცალკე მომენტებს და საგნებს გადმოგვცემს მათს მთლიანობაში.

მრავალი მხატვართაგანი გადმოგვცემს ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრებას. მაგ. მაყაშვილის მარანი შემოდგომაზე, მაღალაშვილის რთველი, კოპალიანის—სოფლის კოოპერატივები აშკარავებენ მხატვრების მხრივ დაახლოებას ჩვენი გლეხის ცხოვრებასთან და მისი ფსიქოლოგიის გაგებას. გრიბანოვი უკრაინული სოფლის მხატვარია (მრეცხავი, ამკითხველი).

არის სურათები, რომელსაც საფუძვლად უდევს ავტორის რომელიმე იდეა, უფრო ხშირად სოციალური მოტივი, მაგ. ერისთავის—„სასამართლო", სადაც მხატვრული ფესვებით (პლაკატური გადახრა) ხაზგასმულია ნიკოლოზის დროინდელი „სამართალი".

ავტორის მსოფლმხედველობას გადმოგვცემს აგრეთვე გრიგორიანის—სურათი „მუშის ხელი". ეს უკანასკნელი მხატვარი განირჩევა თავისი განსაკუთრებული ტონებით.

ნიკიტაშვილს გადმოცემული აქვს ამბოხება; ეს საუკეთესო თემაა მოძრაობის—დინამიურობის გადმოსაცემად. მხატვარს ბრწყინვალეთ აქვს დაძლეული აღებული თემა. განსაცვიფრებულია სურათის მთლიანობა.

გამოფენის გვირგვინს აუცილებლად წარმოადგენს ახალგაზრდა **ყაზბეგი** თავის სურათით „მაღაროებში", სადაც მაღაროების კლდეები სიმტკიცეს უპირდაპირდება მუშების დაჭიმულ კუნთების და მკლავების შეუპოვარი ძალა.

მნახველი გვერდს ვერ აუხვევს აგრეთვე ნიჭიერს **მამალაძეს**, რომელსაც გადმოცემული აქვს „რუსთაველი" აღმოსავლური მანერით „რენესანსის" ფონზე. საერთოდ არ არის ერთ სურათაც კი, რომელსაც არ ახლდეს ნიჭი, გემოვნება და სიყვარული.

სტუდია ჩვენ მხატვრობას მისცემს ამ მოკლე ხანში რამოდენიმე ნიჭიერს, სავსებით დამთავრებულს ხელოვანს.

მადლობის და დახმარების ღირსია სტუდია და მისი ხელმძღვანელნი პროფ. მოსე, ირაკლი თოიძენი, და ბაჟბეუქ-მელიქოვი.

გ.—ი.

პროვინციაში

სოფელი ტაბახმელა

(თბილ. მაზრა)

(ასურეთის რაიონის აღმასკომის საყურადღებოდ)

სოფელს არა აქვს კარგი გზები. თუ გზები არ შეკეთდა, გლეხები და სოფლის მუშები დიდ გასაჭირში ჩავარდებიან. იქ ვერც ურემს გაუვლია და ვერც ეტლებს. სოფელში არის მოწყობილი საქონლის ჭირის საწინააღმდეგო სადგური, მაგრამ მის მუშაობასაც საგრძნობათ აფერხებს უგზოობა.

ასურეთის რაიონის აღმასკომო, მიიღე ზომები, შეაკეთე გზა.

ა. გვიჩაძე.

ამბავი იმის შესახებ, თუ სოფლის „კულაკებმა“ როგორ მოატყუეს ღარიბი გლეხები

შუა სურები (გურია)

(ოზურგეთის მაზრის აღმასკომის საყურადღებოდ)

ხსენებულ თემში, ე. ი. შუა-სურებში მცხოვრები გლეხები გვარეულობით: ტრაპაიძეები, შათირიშვილები, შანიძეები და ლაგვილავები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ სახნავ-სათესი მიწების უქონლობით, რაიც გამოწვეული იყო იმ მდგომარეობით, რომ მახლობელმა საპაიჭავოს თემმა (ქუთ. მაზრ.) ისარგებლა ძველი უფლებებით და მთელი შუა-სურების სათესი მიწები მიითვისა. ამ ნიადაგზე დავის გადაჭრა მხოლოდ საბჭ. ხელისუფლებამ შესძლო 1924 წლის აპრილში. მან დაუბრუნა შუა-სურების მცხოვრებთ ერთი მეოთხედი ნაწილი სადაო მიწისა.

ადგილობრივი ხელისუფლების და პარტ-ამხანაგების ხელმძღვანელობით აღნიშნული მიწა დამუშავებულ იქნა კომუნალური წესით, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მშრომელ მასებში. მაგრამ წელს ჩვენ გლეხობას ურჩიეს სოფლის კულაკებმა კომუნალურათ დამუშავების მაგივრათ ხსენებული მიწა გაენაწილებიათ, რაც კიდეც მოახერხეს. მიწის გამყოფ კომისიაში არჩეულ იქნა დიდი უმრავლესობა სოფლის კულაკებისა, რომლებმაც აღნიშნული მიწა გაჰყვეს ისე, რომ ზოგიერთებმა მიიღეს ორ-ორი ქცევა მიწა, როდესაც მათ უამისოთაც საკმარისი მიწა ჰქონდათ, და მცირე მიწის მქონეთ და რომლებსაც სრულებით არ გააჩნდათ, ასეთებს ნახევარი ქცევა მისცეს. კულაკების ასეთმა მოქმედებამ ხალხში სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

საჭიროა, სანამ გვიან არ არის, ყურადღება მიაქციოს სამაზრო ხელისუფლებამ ასეთ მდგომარეობას და ბოლო მოუღოს კულაკების ასეთ უკანონო მოქმედებას.

ინფ. „ანკესი“.

გამოგზავნილი წერილებიდან

რა ესაჭიროება ჩვენს სოფელს

(სოფ. ოქტომბი, სენაკის მაზრა)

ჩვენი სოფლის გლეხობა მამაპაპურის წესით აწარმოებს მიწის დამუშავებას. მან არაფერი იცის მეურნეობის ახალი წესით წარმოების შესახებ. საჭიროა ჩვენს სოფელში გამოიგზავნოს აგრონომი, რომელიც გლეხებს მისცემს სამეურნეო ცოდნას. საჭიროა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოგზავნა.

ი. ჟ—ნია

სეტყვა მოლითის თემში

16 ივნისს მოლითის თემში მოვიდა სეტყვა, რომელმაც გასტანა 15 წუთი. სეტყვამ ძლიერ დააზარალა ქირნახული. გაფუჭებულია თითქმის მოსავლის სამი მეოთხედი.

ი. ხადური.

პროვინციის ქრონიკა

— **სიღნაღში** ტელეფონების ძველი ქსელის შესაკეთებლათ და ახლების გასაყვანათ ფ.-ტელეგრაფის კომისარიატმა გამოგზავნა საჭირო მასალა და სპეც-მექანიკი.

— **მუშათა საზაფხულო თეატრი** ბათომში გაიხსნა დიდი ზეიმით.

— **ხილის მოსავალი.** ოზურგეთის მაზრაში წელს ხილის მოსავალი, განსაკუთრებით მსხლისა და ვაშლის საშუალოზე ნაკლები იქნება, ჩაის — საშუალო.

— **ოზურგეთის მაზრაში** გაჩნდა ბოსტნეულობის მავნებლები, რომლების წინააღმდეგ მიღებულია სათანადო ზომები.

— **კომუნები სოფლად.** შორაპნის მაზრაში ამ ჟამად გლეხების კომუნებს დამუშავებული აქვთ სულ 160 დესეტინა მიწა.

— **გზის შეკეთება.** სოფ. ჭელიაღელეს და ნიკორწმინდის (რაჭა) აღმასკომების თაოსნობით ახლო ხანში შეუდგებიან ჭელიაღელე-ნიკორწმინდის გზის გაყვანას.

— **ოზურგეთის** სამაზრო გლეხკომმა დაადგინა მიიღოს ზომები სათემო გლეხკომების მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ამ მიზნით სოფლებს ჩამოივლის თვით გლეხკომის თავმჯდომარე.

— **შორაპნის მაზრაში** ამ ჟამად შემდგარია 5 ამხანაგობა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედებანი

კითხვა

ჩვენ (რიცხვით ხუთი კაცი) ვმსახურობთ სადგურ ნავთლუღში და დღემდის ვითვლებით დღიურ მშრომელებად, მიუხედავათ იმისა, რომ ყოველი ჩვენგანი მსახურობს არა ნაკლებ ერთი წლისა (ზოგი კი წელიწადზე მეტს მსახურობს). ჩვენ ვართ რკინისგზების პროფკავშირის წევრები, მაგრამ მაინც დღემდის ვითვლებით დროებით მოსამსახურეებად.

ადმინისტრაცია ამ ბოლო ხანებში გვავალებს ყოველ ორ კვირაში ხელის მოწერას მასზე, რომ, ვინიცობაა დაგვითხოვონ სამუშაოდან, არ მოვითხოვოთ არავითარი კომპენსაცია, რის გამოც ჩვენ იძულებული ვხდებით ვეძიოთ ყოველ ორ კვირაში სამუშაო და ეს [illegible] კი შეუძლებელი [illegible]რობით ჩვენზე დაკისრებული სამსახურის გამო.

ამისათვის გთხოვთ განგვიმარტოთ თუ როგორი წესი არსებობს ასეთი დღიური მოსამსახურეების მტკიცე შტატში ჩარიცხვისათვის.

ამხანაგების მინდობილობით სადგურ ნავთლუღის მწონავი **გრ. ზამბახიძე.**

პასუხი

დროებით სამუშაოდ ითვლება ისეთი მუშაობა რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ თვეს, თქვენ კი ფაქტიურად მუშაობთ არა ნაკლებ ერთი წლისა, ამიტომ თქვენ დროებით მომუშავეთა კატეგორიაში არ უნდა ითვლებოდეთ, არამედ ადმინისტრაციას სამუშაოზე დაშვების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა უნდა ჩაერიცხეთ თვის მუშა-მოსამსახურეთა მუდმივ შტატში და თუ ის ასე არ მოიქცა, ის არღვევს ამის შესახებ არსებულ შრომის დაცვის კანონებს და წესებს და პასუხს აგებს. (იხ. საქ. ს. ს. რესპ. შრომის სახკომატის ბიულეტენი № 3 1924 წ. იანვარ-მარტი გვერდი გვ. 89, ცირკულ № 1-ის მუხ. 1—4).

ყოველ შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, ითვლებით თუ არა თქვენ მუშა-მოსამსახურეთა მუდმივ შტატში და კავშირის წევრებად) **თქვენზე აუცილებლად ვრცელდება ყველა ის პირობები და შეღავათები სალიკვიდაციო ჯილდოს, შვებულების, სოცდაზღვევის და სხ., რაც გათვალისწინებულია და აღნიშნული იმ კოლხელშეკრულებაში, რომელიც დადებულია პროფკავშირის მიერ თქვენ დამქირავებელ ადმინისტრაციასთან. (იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. 16—175).**

შრომითი ხელშეკრულებათა შეთანხმების ყველა ის პირობები (ამ შემთხვევაში თქვენი ხელწერილები კომპენსაციაზე უარის თქმის შესახებ თანახმად ადმინისტრაციის მოთხოვნილებისა), რომლებიც აუარესებენ მომუშავეთა შრომის იმ პირობებს, რომლებიც (პირობები) ეწინააღმდეგებიან შრომის კანონებს, კოლ. ხელშეკრულების პირობებს და შინაურ მოწესრიგების წესებს, გაბათილებულად ითვლებიან და არავითარი იურიდიული აქტის ძალა მათ არა აქვთ. (იხ. შრ. კან. კოდექსი მუხ. 28).

ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია დამიბრუნოს ჩემი სამსახური?

კითხვა

მე ვმსახურობდი საგარეჯოს კოოპერატივში ბუხჰალტრის თანამდებობაზე. 13 დეკემბერს საგანგებო კომისიის მიერ ვიქენი დაპატიმრებული. და რადგან ჩემზე წამოყენებული ბრალდება არ გამართლდა, ა. წ. 17 მარტს ვიქენი განთავისუფლებული.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, ვალდებულია თუ არა საგარეჯოს კოოპერატივის გამგეობა დამიბრუნოს ჩემს თანამდებობაზე და ციხეში ყოფნის დროის განმავლობაში ჯამაგირითაც გამისწორდეს.

ვარ დაზღვეული.

ვასო აზარაშვილი.

პასუხი

საგარეჯოს კოოპერატივის გამგეობა არ არის ვალდებული, რომ თქვენ დაგაბრუნონ ძველ სამსახურზე, რადგანაც თქვენი სამსახურიდან გარდაყენება და დაპატიმრება გაგრძელდა ორ თვეზე მეტ ხნის განმავლობაში; შრომის ხელფასი კი უნდა მოგეცეთ ორი თვის ჯამაგირის რაოდენობით.

(იხ. ა/კ. შრომის სახკომატის განმარტება 1925 წ. 16 იანვრ. შრომის კანონთა კოდექ. მე-47-ე მუხლის § „ე“-ს და მე-68 მუხ. გამოყენების წესის შესახებ).

ჩვენი ფოსტა

— **ახალსენაკი, ახუთის „ეპოს“.** თქვენგან მიღებულია ჩვენ გაზეთზე 2 თვის ხელმოსაწერი ფასი. ამის ანგარიშში გაზეთს მიიღებთ პირველ აგვისტომდე.

— **გორის მაზრის, ქვემო-ჭალის თემის აღმასკომის** 8 ც. გაზ. „კომუნისტისა“, რომელსაც თქვენ იღებთ, გიგზავნებათ პოლიტგანათლების ხარჯზე და გევალებათ უგზავნოთ თქვენ რაიონში შემავალ სასოფლო სკოლებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 29

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „გლეხის ცენტრალური სახლის“ მიერ გლეხთა საქმეების გამო აღძრულ შუამდგომლობათა პირველ რიგში განხილვის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაევალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ „გლეხის ცენტრალური სახლის“ მიერ გლეხთა საქმეების გამო აღძრული ყოველი შუამდგომლობა განიხილოს პირველ რიგში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. ივნისის 1.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 20 ივნისს დღის 2 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში გაიმართება არსენალის რაიონის კომპარტიის და ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირის უჯრედთა მდივნების თათბირი.

დღის წესრიგი.

1. არსენალის, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და კოლოფების ფაბრიკის უჯრედთა მდივნის ანგარიში.
2. მოხსენება ახ. ლენინურ კომკავშირის უჯრედებზე კომპარტიის უჯრედთა ხელმძღვანელობის შესახებ.

კომპარტიის და ახალგ. ლენინურ კომკავშირის უჯრედთა ყველა მდივნების და აგრეთვე ახალგ. კომკავშირის წევრთა შორის მომუშავე კომისიის თავმჯდომარეების (სადაც ასეთები არ არიან კომკავშირის უჯრედებთან მიმაგრებულ ამხანაგების), დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ—მელაძე.

— საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მეორე სარაიონო საბჭო იუწყება, რომ პარასკევს, 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში გაიმართება სარაიონო საბჭოს სხდომა, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედთა მდივნების თანდასწრებით.

საკითხების მნიშვნელოვანების გამო სარაიონო საბჭოს წევრთა და უჯრედების მდივანთა დასწრება სავალდებულოა.

საჰაერო ფლოტის მეგობ. საზოგადოების 2-ე სარაიონო საბჭო.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის ბინაზე გაიმართება ქალაქის რაიონის სადელეგატო კრება უჯრედების მდივანთა თანდასწრებით:

დღის წესრიგი: 1) მოხსენება ლითონის მრეწველობის შესახებ მე-14 პარტკონფერენციის რეზოლიუციის მიხედვით (სემკოვის მოხსენება) 2) ანკეტების გარჩევა.

ყველა დელეგატების, უჯრედების მდივანთა და გამოწვეულ ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი—**გ. სტურუა.**

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდნენ პარასკევს 19 ივნისს სრულ 6 საათზე ქალაქის აღმასკომის სადელეგატო კრებაზე პარტიის კანდიდატებად მისაღებად და პარტიის წევრებად გადასაყვანად.

უჯრედი № 23 (სახელმწიფო უნივერსიტეტი). 1. პატამიძე სიმონ, 2. ჯიქია ვალერიან, 3. კახიძე გიორგი, 4. კვანტალიანი ივანე, 5 არევაძე ივანე, 6. ნუცუბიძე სამსონ 7. ნიკურაძე კონსტანტინე, 8. გეგეშიძე ლავრენტი, 9. ნიკოლაიშვილი პანტელეიმონ, 10. მჭედლიშვილი დავით, 11, ქოქოშვილი არტემ, 12. ჩხეიძე ვასილი, 13. ქადლენტი ალექსანდრე, 14 ლეჟავა დავით, 15. ეწიაშვილი ივანე, 16. თათარიშვილი ტიხონ, 17. ახალაძე სილიბისტრო.

უჯრედი № 48 (ქართული მუშფაკი). 18. შენგელია ბიქტორ, 19. ბერიმუზაშვილი მოსე, 20. სოხუაძე ივანე, 21 ტიგაშვილი ილია, 22. მესხი ნინა, 23. კოზაშვილი გიორგი, 24. კერესელიძე არქიპ, 25 გორჩაძე ვარლამ.

უჯრედი № 58 (სომხური მუშფაკი). 26. ვირაბოვი გევორქ, 27. კარახანოვი ლევონ, 28. აკოფოვა ელენე, 29. არუტიუნოვი მანუკ.

უჯრედი № 22 (სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი). 30. შამანიძე თედორე, 31. ბაბაჯაანოვი ხაჩატურ, 32. ოკმიშიან მარკოზ, 33. ბონდარენკო ანნა, 34. კოვალი ეკ-ტა, 35. შტინ ალექსანდრე, 36. მეშკატინი არონ, 37. ჩერწიავსკი ევგენი, 38. ბილი კირილე, 39. მოსიკოვი კარაპეტ, 40. ნოპეხოვი გრიგოლი, 41. შახნაზაროვი მიხეილ, 42. ბრიევი გიორგი, 43. ადამიან ზავენ.

უჯრედი № 19 (ცენტრალური პარტ. სკოლა). 44. დოლიძე ვალერიან, 45. კაზაროვი ალექსანდრე, 46. ივანოვი ევსტაფი.

უჯრედი № 21 (ფაბრიკო-საქარხნო სკოლა). 47. ვასილენკო ვლადიმერ, 48. სერგეევი მიხეილ, 49. ციცოზეევი არამ, 50 ნაცვალოვი იოსებ, 51. იურაშნო პეტრე, 52. ავაქოვი აგამ, 53. როჟდესტვენსკი არსენ, 54. მუბოიაჯიან არტემ, 55. კალეხსაევი ბიქტორ, 56. მოგალევი კონსტანტინე, 57. ჩიჩიევი ლეონიდ, 58. გუნინ თეოდორე.

წუნეთიდან. 59. შახუმოვი ლევან, 60. დოლმაზოვი ისაკ, 61. დოლმაზოვი გოლა, 62. ოდელაშვილი გიორგი, 63. ელიაბარიშვილი ნიკოლოზ. 64. მიშელაძე არტემ 65. ოძელაშვილი ანდრია.

უჯრედი № 88 (კოჯორი). 66. კალუგინ სიმონ, 67. ლორთქიფანიძე ალექსანდრე, 68. კონჯაძე ალექსანდრე, 69. ციცქაძე ისიდორე, 70. შერმაზანაშვილი ვასილი.

დიღომიდან. 71. მჭედლიშვილი დიმიტრი, 72. მჭედლიშვილი ნიკოლოზ, 73. ხანდარიშვილი გიორგი, 74. მძევალიშვილი გიორგი.

უჯრედი № 36 (აღმასკომი). 75. მელაშვილი შალვა, 76. ტოროშელიძე ანტონ, 77 იტრიევი ნიკოლოზ, 78. ვადაჭკორია იპოლიტე, 79. სეფერთელაძე მიხეილ.

უჯრედი № 44 (ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო). 80. კაჭარავა აკაკი, 81. სანაძე ნადეჟდა, 82. შენგელია შალვა.

უჯრედი № 9. 83. ტამარაზოვ ალექსანდრე.

უჯრედი № 35 (მუშათა და გლეხთა ინსპექცია). 84. აფტოვი ნიკოლოზ.

უჯრედი № 45 (წარმოკავშირი). 85. სოლა პეტრე.

უჯრედი № 18 („რაბოჩაია პრავდა“-ს სტამბა). 86. ბალიაშვილი ივანე.

უჯრედი № 15 (ცეცხლის მქრობელთა რაზმი). 87. მიხაილოვი ოლიმპიადა, 88. ბროვიანი პეტრე.

უჯრედი № 7 (ლენინის სახელ. თამბაქოს ფაბრიკა). 89. კარმუშკინი ივანე.

უჯრედი № 38 (ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატი). 90. მიხნევიჩი ოლღა.

უჯრედი № 12 („ტემპი“). 91. სირმაი ელბერტ, 92. გიორგობიანი რომანოზ.

სარაიონო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

განცხადებები

ქ. მოსკოვში ტრაგიკულათ გარდაცვალებულ

მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე ფირცხალაიშვილის

ცხედარი თბილისის სადგურზე მოსვენებული უნდა იქნეს პარასკევს, 19 ივნისს, დღის 3 საათზე, საიდანაც წასვენებული იქნება შუაღამის 11 საათზე, ქ. ოზურგეთში. დაკრძალვა მოხდება კვირას, 21 ივნისს, დღის 3 საათზე. რასაც უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს განსვენებულის დედა მატრონე დავითის ასული, მამა გიორგი როსტომის ძე ფარცხალაიშვილები, ძმები: ილიკო, ალექსანდრე, ნიკოლოზ, ივანე, დავით და გიორგი, დები: მარუსია და ელენე.

№ 1699—1—1

ლავრენტი პეტრეს ძე თოხაძე შვილებით ივანე, იოსებ, კატუშა და დათიკო—მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და საყვარელი მამიდაშვილი

გაბრიელ დიანოზის ძე სამსონია

№ 1695—1—1

საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, არტელის წევრის

სევერიანე ყარამანის ძე მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში, გამოსვენება შაბათს, ივნისის 20-ს, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინიდან—გოგოლის ქუჩა № 53. № 1692. 2—1

უსაზღვროთ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ანეტა, შვილი მიშა, დედა დესპინე, ძმები სოლომონი, ბიქტორი და რძალი ნინა, ბიცოლა პუპი, ბიძაშვილები ვერიჩკა, ლიდა მახარაძეები, და მამინაცვალი ვარლამ ელიაძე აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათი საყვარელ და დაუვიწყარ

სევერიანე ყარამანის ძე მახარაძეს

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისში გამოსვენება შაბათს, 20 ივნისს, 5 საათზე საკუთარ ბინიდან გოგოლის ქუჩა № 53. № 1698—1—1

ღრმად დამწუხრებულნი მამა დომენტი, დები ნატალია, და ნინა, ძმა მიშა და ბებია კასინე მოისწრაფიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი შვილის, ძმის და შვილიშვილის

გიორგი (გოგილო) მოისწრაფიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას ა/წ. 16 ივნისს. დასაფლავება მოხდება სოფ. ჩანჩეთში (ოზურგეთის მაზრა).

№ 1696—1—1

ღრმად დამწუხრებულნი გამზრდელი ბიძა სერგო ტულუში, ბიძები მელიტონ, მოსე და გრიგოლ—ტულუშები, ბიცოლები ნინო, კესა და მატრონე, ბებია ფატი ტულუშები და ბიძისშვილი ნინა და დათიკო ვოლსკი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ დაუვიწყარი

გიორგი (გოგილო) მოისწრაფიშვილის

უდროოდ—ტრაგიკულად დაღუპვას. დასაფლავება მოხდება სოფ. ჩანჩეთში (ოზურგეთის მაზრა). № 1696 1—1

მიხა ჩოდრიშვილის

სახელობის

შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—4

ბაღი „არტი“

„მუსიკალური კომედიის“ თეატრი

დღეს პარასკევს, 19 ივნისს დღეს

მესამეთ კალმანის ცნობილი ოპერეტა

„ბაიადერკა“

მთავარ როლებში: კ. ი. კრასოვი, ალა ოლგარ, ტარსკი, ტალგრენ კრასოვი

დაწვრილებით ცნობები აფიშებში

ნ. 1350—1—1

ბაღი „არტი“

მათემატიკის მასწავლებელი ს. მ. მაჩაიძე

ამზადებს

უმაღლეს სასწავლებელში:

უნივერს., პოლიტ. ინსტიტ. სამხედრო აკად., ტეხნიკუმში, მუშფაკზე, ქართულ მეთაურთა სამხედრო და შრომის სკოლაში შესასვლელად. აგრეთვე ასწორებს **ჩამორჩენილებს მათემატიკურ საგნებში.** მეცადინეობა დაიწყება 25 ივნისიდან სამ ჯგუფად: დილით 6—9, 10—1 ს, 4—7 ს. მიღება ყოველდღე აღნიშნულ დროზე. პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი ალექსის ქუჩიდან—5).

3—2 № 1685

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ის ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—12

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს.

საღამოთი: ქალების და ბავშვების 5—6 ს

მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 1

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—17

ექიმი **დ. ა. გალუსტიანი**

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—16

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—16

ექიმი **გ. გ. მეგრაბიანცი**

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—16

პროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს

ცალკე ხელისმომწერლებმა ფოსტის ბარათზე უნდა გარკვევით **აღნიშნონ სახელი, გვარი, მისამართი, გაზეთის რაოდენობა, [illegible] წერის ვადა.**

2. ფოსტის ბარათზე აგრეთვე საჭიროა აღნიშნოს უახლოესი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.
3. კოლექტიური ხელისმომწერლები მოვალენი არიან გადმოგვიგზავნონ სიები ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ შემოწმებული.
4. ხვედრი ფულის გადმოგზავნა უნდა ხდებოდეს უთუოდ გაზეთის გამოწერისთანავე.

0—2

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

შაბათს, 20 ივნისს რუსთველის თეატრი შაბათს, 20 ივნისს

საღამო

გ. ქუჩიშვილისა

ბილეთები იყიდება კასაში. 10 ივ. გაცემული ბილეთები გამოდგება ამ საღამოსათვის.

ხელისმომწერლების საყურადღებოთ

ქოლა ლომთათიძის

ორივე ტომი და გადიდებული სურათი დაურიგდება ხელისმომწერლებს ივლისის პირველ რიცხვებში.

არა ხელისმომწერთათვის წიგნები უსურათოდ ეღირება 6 მან.

ხელისმომწერლებმა წიგნები იმათ მოსთხოვონ, ვისაც ფული ჩააბარეს.

ვინც დამლევ ივნისამდე არ მოასრულებენ

ოთხ მანეთს

ისინი წიგნებს ვერ მიიღებენ.

აგენტებს ვსთხოვთ დააჩქარონ ვალის გამოგზავნა შემდეგი მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 11 სახელგამს, ან ლენინის ქ. № 6 წიგნის მაღაზია „განათლება“ ს. თავართქილაძეს.

სახელგამი.

4—2 ნ. 1345

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ მასალათა განყოფილება

აცხადებს, რომ კვირას, 21 ივნისს, დღის 12 საათზე ნავთის საწყობში № 2 (კახეთის და ნავთლუღის ქუჩების კუთხე) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სათბობ მასალათა განყოფილების 2 ცხენის გასაყიდათ. ვაჭრობა სიტყვიერია.

ცხენების წინასწარი დათვალიერება შეიძლება ნავთის საწყობში № 1 პარასკევს, 19 ივნისს, შაბათს, 20 ივნისს დილის 10 საათიდან 2 საათამდე და კვირას, 21 ივნისს, დილის 11 საათიდან 12 საათამდე.

ნის. № 1348—1—1

გამოცდილ მასწავლებელთა ჯგუფი

ამზადებს მსურველთ უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტისათვის პირობების გაგება შეიძლება უნივერსიტეტის შენობაში განათლების მუშაკთა პირველ ადგილკომში ვ. დევიძესთან.

№ 1676—3—2

ვარ-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი კ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ 25 ივნისს ა. წ. საათის 12 დღისა, პლეხანოვის პრ. № 5, სასტუმრო „ავრორა“-ში გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ქონება პეტრე გიორგობიანისა: პირსაბანი, შკაფი, მაგიდა, ფარდაგი და საათი შეფასებული 180 მან. დასაკმაყოფილებლად მარიამ ბადრიევასი 10 მ. 50 კ. ვაჭრობა დაიწყება თითოულ საგანზე შეფასებიდან, იყიდება თანახმად შრომის სას. აღმასრულებელი ფურცლისა № 1886.

1690 1—1 სასამ. აღმასრ. კ. ოდიშარია

ექიმი **ა. დ. პეპელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 16, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

25—16

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 სათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—22

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

25—17

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ.

სიფილისი (606—914)

მიღება: კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.

ქალების 6—7 ს. საღ.

მოსკოვის ქ. № 4.

25—18

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ. ქალებისთვის 12—1 საათ.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.

25—22

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგან და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

25—7

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—7

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—23

დაიკარგა პასპორტი ზაქარია და ვარინკა მელიქ-საკუმოვების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1698 1—1

დაიკარგა მოწმობა სამხედრო კომისარიატისგან, მეტრიკული ამოწერილობა აკაკი ონისიმეს ძე ხუნდაძეს სახელზე. ჩ. გ. ნ. 1351 1—1

დაიკარგა რეგისტრაციის ბარათი № 1006 თადეოზ წულაურის სახელზე ჩ. გ. 1689 1—1

დაიკარგა ბავშვის რძის წიგნაკი № 1354 რკინის გზის დამზღვევ კასის, მოცემული სილიბისტრო გრიგოლის ძე მანჯგალაძის სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული თბილისის რკინის გზის სამმართველოდან № 15382 შურაბ მოსეს ძე აფლოხაშვილის სახელზე ჩ. გაუქ. 1691 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 2923 გიორგი [illegible]ლიძეს სახელზე. ჩ. გ. 1695 1—1

ტირაჟი—21 172

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა